

# გ ა ნ ს ჯ ა დ ო ბ ა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე:  
[http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec\\_id=133&lang=1](http://www.supremecourt.ge/default.aspx?sec_id=133&lang=1)

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**  
2018, №4

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)  
2018, №4

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)  
2018, №4

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)  
2018, №4

გადაწყვეტილებების შერჩევასა  
და დამუშავებაზე პასუხისმგებელი **ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი **მარიკა მაღალაშვილი**

**რედაქციის მისამართი:** 0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების  
ქ. №32, ტელ: 299 04 18; [www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

**ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და  
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო  
სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით**

# 1. ადმინისტრაციული განსჯადობა

## სახელმწიფო ქონების პრივატიზაცასთან დაკავშირებით დავის განსჯადობა

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-672-668(გ-17)

19 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 26 ივნისს შპს „კ-მ“ სასარჩელო განცხადებით მართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის შპს „კ-ს“ სასარგებლოდ 5138 აშშ დოლარის, 5138 აშშ დოლარის წლიური 10%-ის 2009 წლის 4 თებერვლიდან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის ჩათვლით და ასევე 3469 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 ივნისის განჩინებით შპს „კ-ს“ სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები და განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორი-

ები, კერძოდ, დადგენილია თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს ანუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წესით საერთო სასამართლოებში განხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსთვის თანხის დაკისრება, რომელიც გამომდინარეობს მხარეებს შორის დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან და იგი განსახილველად უნდა გადაეცეს სამოქალაქო საქმეთა განმხილველ სასამართლოს. სასამართლოს განმარტებით, დავის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება. კონკრეტულ შემთხვევაში, ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, არ იკვეთება ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების ფაქტი. თავად სამოქალაქო კანონმდებლობაც სამოქალაქო საქმეთა განსაზღვრის პრინციპად აღიარებს სამართლებრივ ურთიერთობას, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით, სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, აგრეთვე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის. მოცემული დავა კი სწორედ სამოქალაქო ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რომლის რეგულირებასაც ითვალისწინებდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 ივლისის განჩინებით შპს „კ-ს“ სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ, განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადმოვეზავნა საქართვე-

ლოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

სასამართლოს განმარტებით, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

სასამართლოს მითითებით, შპს „კ“ ითხოვს 1996 წლის 24 მაისის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას. შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული ხელშეკრულების სამართლებრივი მხარე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას.

მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

სასამართლოს განმარტებით, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ძირითადი, უშუალო ფუნ-

ქციის განსახორციელებლად ხელშეკრულების დადებას. სხვაგვარად ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება.

სასამართლოს მითითებით, 1994 წლის 24 მაისს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და „ა...“ შრომით კოლექტივს შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, თბილისში, ისნის რაიონში, ..., მე-... მ/რ-ის ... კორპუსში მდებარე „ა...“ ძირითად საშუალებებსა და 721,46 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართზე, 9342 აშშ დოლარის ეკვივალენტურ თანხად ეროვნულ ვალუტაში. „ა...“ შრომითი კოლექტივის ვალდებულება იყო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ქონებაზე საპრივატიზებო ღირებულების დარჩენილი 45%-ის გადახდა.

აღნიშნული ხელშეკრულების დადებას წინ უსწრებდა იმ დროისათვის მოქმედი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ 1991 წლის 9 აგვისტოს საქართველოს კანონი, რომელიც ძალადაკარგულად იქნა ცნობილი 1997 წლის 30 მაისის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, გაუქმდა 2010 წლის 21 ივლისის „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონით.

სასამართლოს მითითებით, ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლი განმარტავდა პრივატიზების ცნებას, რომლის თანახმადაც, პრივატიზება არის მოქალაქეთა, მათი გაერთიანებების და არასახელმწიფო იურიდიული პირების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა, რომლის შედეგად ისინი თავის თავზე იღებენ ამ უფლებიდან გამომდინარე ქონებრივ, საფინანსო და სხვა ვალდებულებებს.

„საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ 1991 წლის 9 აგვისტოს კანონის მე-4 მუხლით სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების განმარტავდა ორგანოს წარმოადგენდა სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი. ამდენად, სახელმწიფო ქონების მართვის ქ. თბილისის მთავარი სამმართველო წარმოადგენდა დასახელებულ

ბული ობიექტის პრივატიზების ჩატარებაზე უფლებამოსილ ორგანოს. ამავე კანონის მე-20 მუხლი განსაზღვრავდა საპრივატიზაციო გარიგების წესსა და პირობებს, რომლის თანახმადაც პრივატიზების ფორმებისაგან დამოუკიდებლად სახელმწიფო საწარმოთა, აგრეთვე სახელმწიფო სააქციო საზოგადოებათა (ამხანაგობათა) საწესდებო კაპიტალში წილის (პაი, აქციები) გამყიდველსა და მყიდველს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც შინაარსითა და ფორმით უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის მოთხოვნებს.

სასამართლოს მითითებით, დღეს მოქმედი „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-31 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის პრივატიზებისას პრივატიზების განმახორციელებელ ორგანოსა და ქონების შემძენს შორის იდება შესაბამისი ხელშეკრულება, რომელიც საჯარო რეესტრში საკუთრების უფლების რეგისტრაციისა და შესაბამისი ვალდებულებების (მათ შორის, ასეთის არსებობის შემთხვევაში, საპრივატიზებო საფასურის გადახდის ვალდებულების) წარმოშობის საფუძველია.

საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წლის 30 ივლისს მიღებულ იქნა №161 დადგენილება „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ლიკვიდაციისა და „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე, რომლის თანახმადაც, ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო და უფლებამონაცვლედ დადგინდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც იმდროინდელი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ 1991 წლის 9 აგვისტოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარი სამმართველოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა და საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანია ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და „ა...“ შრომით კოლექტივს შორის 1996 წლის 24 მაისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობის მხარეებს წარმოადგენდნენ, ერთი მხრივ, „ა...“ შრომითი კოლექტივის უფლებამონაცვლე შპს „კ.“, ხოლო მეორე მხრივ, ადმინისტრაციული ორგანო – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საგანია თბილისში, ისნის რაიონში, ..., მე-... მ/რ, ... კორპუსში მდებარე „ა...“ ძირითად საშუალებებისა და 721,46 კვ.მ არასაცხოვრებელ ფართის „ა...“ შრომითი კოლექტივისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების მიზნით, 9342 აშშ დოლარად, საკუთრებაში გადაცემა. ხელშეკრულების დადების სამართლებრივი საფუძველია პრივატიზაციის პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულება, რომლითაც დადგინდა პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების პირობები. ამდენად, სახეზეა პირობადადებული ხელშეკრულება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან. სასარჩელო მოთხოვნა ეხება კერძო სამართლის სუბიექტსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის არსებული საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, მოპასუხესთან დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, რომელიც დადებულია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირთან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და შესაბამისად, დავაც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

„სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული შესაბამისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების დარღვევის გამო ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში



პრივატიზებული ქონება ბრუნდება სახელმწიფო საკუთრებაში, ხოლო ამ ქონებაზე რეგისტრირებული მესამე პირის (პირთა) იპოთეკის უფლება (უფლებები) უქმდება, თუ ქონების იპოთეკით დატვირთვამდე საჯარო რეესტრში უძრავი ნივთის შესახებ ჩანაწერში რეგისტრირებულია საპრივატიზებო ვალდებულების (ვალდებულებების) ამსახველი შესაბამისი ინფორმაცია. ამასთანავე, ქონების შემძენს სახელმწიფო არ აუნაზღაურებს გადახდილ თანხებსა და განეულ ხარჯებს.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პროგრამის უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგებს განსაზღვრავდა აგრეთვე იმ დროს მოქმედი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო სანარმოთა პრივატიზების შესახებ“ 1991 წლის 9 აგვისტოს კანონი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად,

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანების), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

საქართველოს მთავრობის მიერ 2008 წლის 30 ივლისს მიღებულ იქნა №161 დადგენილება „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს ლიკვიდაციისა და „საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილებაში დამატების შეტანის თაობაზე“, რომლის თანახმადაც, ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ტერიტორიული ორგანო – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველო და უფლებამონაცვლედ დადგინდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, ხოლო დავის საგანია – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის შპს „კ-ს“ სასარგებლოდ 5138 აშშ დოლარის, 5138 აშშ დოლარის წლიური 10%-ის 2009 წლის 4 თებერვლიდან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის ჩათვლით და ასევე 3469 ლარის ანაზღაურების დაკისრება.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობს 1996 წლის 24 მაისს ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და „ა...“ შრომით კოლექტივს შორის გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, „ა...“ შრომითი კოლექტივის უფლებამონაცვლედ შპს „კ.“, და მეორე მხრივ – ადმინისტრაციული ორგანო – ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველო. მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საგანია თბილისში, ისნის

რაიონში, ..., მე-... მ/რ, ... კორპუსში მდებარე „ა...“ ძირითადი სა-  
შუალებებისა და 721,46 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის „ა...“  
შრომითი კოლექტივისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით  
პრივატიზების მიზნით, 9342 აშშ დოლარად, საკუთრებაში გა-  
დაცემა. ხელშეკრულების დადების სამართლებრივი საფუძვე-  
ლია „პრივატიზაციის პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი  
კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სანარმოების მუ-  
შაკათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ“ საქარ-  
თველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178  
ბრძანებულება, რომლითაც დადგინდა პირდაპირი მიყიდვის  
ფორმით პრივატიზების პირობები.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსჯადობის საკით-  
ხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს სწორედ აღნიშნული ხელ-  
შეკრულების სამართლებრივი ბუნება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზო-  
გადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.1 მუხლის თანახმად, თუ  
კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმი-  
ნისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეც-  
ვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადე-  
ბის გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონ-  
კრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა,  
რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი  
აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას  
კანონით აქვს მინიჭებული, მოანესრიგოს ადმინისტრაციული  
ხელშეკრულების დადების გზით; ხოლო ამავე კოდექსის 2.1  
მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელ-  
შეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო  
უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იუ-  
რიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოს-  
თან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება.  
ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-  
სის 25<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული  
ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტას-  
თან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლო-  
ების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადობის სა-  
კითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯა-  
დობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი  
მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოად-

გენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალური თეორიის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალური თეორიის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩილო მოთხოვნა – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის შპს „კ-ს“ სასარგებლოდ 5138 აშშ დოლარის, 5138 აშშ დოლარის წლიური 10%-ის 2009 წლის 4 თებერვლიდან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებამდე პერიოდის ჩათვლით და ასევე 3469 ლარის ანაზღაურების დაკისრების თაობაზე – გამომდინარეობს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის (განკარგვის) შესახებ ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო „პრივატიზაციის პროცესში ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშაკთათვის ობიექტების პირდაპირი მიყიდვის შესახებ“ საქართველოს სახელმწიფო მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო მითითებით, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც იმდროინდელი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა

პრივატიზების შესახებ“ 1991 წლის 9 აგვისტოს კანონის თანახმად, ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების მართვის მთავარ სამმართველოს კომპეტენციას განეკუთვნებოდა და საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის №365 დადგენილების მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პროგრამის უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში გაფორმებული შესაბამისი ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგები განისაზღვრება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის და სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად. ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგებს განსაზღვრავდა აგრეთვე იმ დროს მოქმედი „საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შესახებ“ 1991 წლის 9 აგვისტოს კანონი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „კ-ს“ სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სახელმწიფო ქონების პრივატიზაციაზე დაკავშირებით დავის განსჯადობა**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-160-160(გ-18)

13 მარტი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 22 ნოემბერს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – რ. კ-ის მიმართ.

მოსარჩელემ, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის, რ. კ-ისათ-

ვის ყოველთვიურად 235,8 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა, 2012 წლის 18 სექტემბრიდან, გადაწყვეტილების აღსრულებამდე.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 24 ნოემბრის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი რ. კ-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სიღნაღის რაიონულ სასამართლოს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სასამართლოს მითითებით, დავის საგანს წარმოადგენს მოპასუხისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. დავა გამომდინარეობს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე სარჩელით ითხოვს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის მოპასუხე რ. კ-ისათვის თანხის დაკისრებას. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობები, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება, ხოლო 317-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძველებიდან.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის. რადგან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup>-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი რ. კ-ის მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე, განსჯა-



დობით სიღნაღის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად გადაუგზავნა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებით, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, რომელმაც ცასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველად მიიჩნია სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის მიერ საქმის განხილვა. სააგენტოს განმარტებით, სასარჩელო მოთხოვნა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის თანხის დაკისრების შესახებ, ეფუძნება „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 13-ლი პუნქტის მოთხოვნებს, რის გამოც იგი წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს. დავის ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო დავის საგანი შეეხება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურებას, დარიცხვა კი ეფუძნება ადმინისტრაციულ (საჯარო) კანონმდებლობას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 იანვრის განჩინებით, საქმე №2ბ/5220-17 სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით, სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილებაზე გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, ანუ კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

კონკრეტულ შემთხვევაში, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ აღძრული სარჩელის დავის საგანზე. წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელე ითხოვდა მოპასუხისათვის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი

სარგებლობისათვის თანხის დაკისრებას.

სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-6 ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს (შემდგომ – სამინისტრო) სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო.

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი არის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის თანხის დაკისრება. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება როგორც სადავო სამართალურთიერთობების ბუნებას ასევე სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

სასამართლოს მითითებით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup>-ლი პუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქო-

ნებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური საბაზრო ღირებულების შესაბამისად, (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის მოთხოვნაა მოპასუხისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონებით არამართლზომიერი სარგებლობისათვის თანხის დაკისრება 2012 წლის 17 სექტემბრიდან, თვეში 235,8 ლარის ოდენობით, „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის 1<sup>3</sup>-ლი პუნქტის სამართლებრივი საფუძვლით, ამდენად პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე სიღნაღის რაიონული სასამართლოსა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებებს და მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ დავაში სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთ მხარედ გამოდის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი არის სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურება. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის, მე-6 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ქონების მართვასა და განკარგვას ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სახელმწიფო ქონების ეროვნული სა-

აგენტო. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ„ კანონის მე-2 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს მთავრობის დადგენილებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციული აქტით შექმნილი, საკანონმდებლო და სახელმწიფო მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საჯარო საქმიანობას. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა„ ქვეპუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებისა) არის ადმინისტრაციული ორგანო. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო სამართალურთიერთობაში მხარედ ადმინისტრაციული ორგანოს გამოსვლა არის დავის საჯარო – სამართლებრივი ხასიათის ერთ-ერთი მაჩვენებელი. ამასთანავე, საქმის განსჯადობის განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს არა სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის ბუნება. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის სადავო სამართალურთიერთობაში საჯარო სამართლის სუბიექტის მონაწილეობა, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანო შესაძლოა მხარედ გამოვიდეს კერძო სამართლებრივ ურთიერთობაშიც.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ვალდებულებითი ურთიერთობების ცალკე კანონით გათვალისწინება თავისთავად არ არის საკმარისი ამავე ურთიერთობის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიისადმი კუთვნილების გადასაწყვეტად. თავის მხრივ, მხოლოდ ვალდებულებითი ურთიერთობის ფორმალურად სამოქალაქო კოდექსის 317-ე მუხლის მოთხოვნებისადმი შესაბამისობა, საჯარო-სამართლებრივი მოთხოვნის,

სხვა ნორმებთან ერთად, სამოქალაქო კოდექსის ნორმაზე დაფუძნება ასევე არ ადასტურებს სადავო სამართალურთიერთობის სამოქალაქო-სამართლებრივ ხასიათს, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში ვალდებულება წარმოიშობა არა სახელშეკრულებო ან კერძოსამართლებრივი კანონის, არამედ სპეციალური კანონის – „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის საფუძველზე, რომელიც ადმინისტრაციულ კანონმდებლობას განეკუთვნება და აწესრიგებს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვასთან, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს. სახელმწიფო ქონების მართვასთან დაკავშირებულ საკითხებს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს საქმიანობის საგანს წარმოადგენს, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის კანონიერების კონტროლი ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იურისდიქციის სფეროს განეკუთვნება. ამდენად, აღნიშნულ საკითხებზე და მათგან გამომდინარე ურთიერთობები ადმინისტრაციულ-სამართლებრივია და შესაბამისი სასამართლო წარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მოთხოვნას ამყარებს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომლის 36-ე მუხლის 13-ლი პუნქტის მიხედვით სახელმწიფო ქონებით მოსარგებლე, რომელსაც არ აქვს ამ ქონებით მართლზომიერად სარგებლობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი და რომელიც ქონებას სამენარმეო საქმიანობისათვის (კომერციული მიზნით) იყენებს, ვალდებულია, ქონების მმართველის წერილობითი მოთხოვნის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაიხადოს სარგებლობაში გადაცემის საფასური – საბაზრო ღირებულების შესაბამისად (საექსპერტო/აუდიტორული დასკვნის საფუძველზე), საჯარო რეესტრში სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მომენტიდან სარგებლობის მთელი პერიოდისათვის.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების ყველა წინაპირობა, კერძოდ, მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანი ეხება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანე-

ბის ანაზღაურებას, დარიცხვა ეფუძნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას. ამდენად, ადმინისტრაციული ორგანოს მოთხოვნა ემყარება საჯარო კანონმდებლობას, დავა განსახილველად ექვემდებარება ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სადავო სამართალურთიერთობის ხასიათი და მისი სუბიექტური შემადგენლობა ადასტურებს დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი კუთვნილებას.

საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილების შესახებ. შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავა განხილული უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი – რ. კ-ის მიმართ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების არამართლზომიერი სარგებლობისათვის დარიცხული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სამოქალაქო განსჯადობა

### ქარქო სამართლებრივი ფორმით დადგენილი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-795-791(გ-17)

9 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 20 აპრილს ზ. რ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – თ. რ-ისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მისი ბაბუა – ს. რ-ი მაშინდელი თბილისის პირველი მაისის აღმასკომის 1978 წლის 28 თებერვლის გადაწყვეტილების საფუძველზე განეწიანდა საბინაოსამშენებლო კოოპერატივ „...“ ოროთახიანი ბინის მშენებლობაზე. 1979 წლის 20 დეკემბერს თბილისის ორჯონიკიძის რაიონის აღმასკომის საბინაო განყოფილების მიერ ს. რ-ზე გაიცა საცხოვრებელი ბინის ორდერი ქ. თბილისი, ... მე-3 მ/რ, 1 კვ. კორპ. 6, ბინა 10. 1992 წლის 16 მარტს გარდაიცვალა ს. რ-ი, რომელმაც 1984 წლის 16 თებერვალს დამონებული ანდერძის თანახმად, მთელი მისი ქონება, რაც აღმოჩნდებოდა მის საკუთრებაში, უანდერძა შეილიშვილს – ზ. რ-ს (მოსარჩელე).

მოსარჩელის განმარტებით, მან აღნიშნული ანდერძის შესახებ შეიტყო 2016 წლის დეკემბერში, როდესაც მისმა დამდასცა ანდერძი. შემდგომ მოპოვებული დოკუმენტების საფუძველზე, მისთვის ასევე ცნობილი გახდა, რომ 1993 წლის 16 ივლისს მოპასუხე – თ. რ-სა და საბინაო სამშენებლო კოოპერატი-

ვის „...“ (სამართალმემკვიდრე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“) წარმომადგენელს შორის გაფორმდა პრივატიზაციის ხელშეკრულება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების საფუძველზე და საცხოვრებელი სახლის – მდებარე, თბილისი, ... მე-3 მ/რ, 1 კვ. კორპ. 6, ბინა 10, მესაკუთრე გახდა თ. რ-ი. მაშინ, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილების მე-10 პუნქტის და იმუამად მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში მეპაიეს უფლება ჰქონდა ეცხოვრა ბინაში ოჯახის წევრებთან ერთად. მეპაიეს ოჯახის უფლება კანონით შეზღუდული იყო და მათ გააჩნდათ მხოლოდ საცხოვრებელ ფართში ცხოვრების უფლება და არ ჰქონდათ უფლება დამოუკიდებლად განეკარგად იგი. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში პრივატიზაციის გზით საცხოვრებელი ბინის საკუთრებაში მიღების უფლებით აღიჭურვა კოოპერატივის წევრი – მეპაიე. მეპაიეს გარდაცვალების შემთხვევაში პაიზე უფლება გადადიოდა მემკვიდრეებზე. შესაბამისად, მოპასუხე თ. რ-ი არ იყო არც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივ „...“ წევრი – მეპაიე და არც ს. რ-ის მემკვიდრე, ვინაიდან, ს. რ-მა მთელი თავისი ქონება 1984 წლის 16 თებერვლის ანდერძით უანდერძა შვილიშვილს – ზ. რ-ს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ 1993 წლის 16 ივლისს მოპასუხე – თ. რ-სა და საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის „...“ (სამართალმემკვიდრე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“) წარმომადგენელს შორის გაფორმებული პრივატიზაციის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და უძრავ ქონებაზე მესაკუთრედ ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 20 აპრილის განჩინებით ზ. რ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; მოპასუხე – თ. რ-ს აეკრძალა უძრავი ქონების – მდებარე ქ. თბილისი, ... მე-3 მ/რ, 1 კვარტ. კორპ. 6, ბინა 10, საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 1 სექტემბრის საოქმო განჩინებით ზ. რ-ის სარჩელი მოპასუხეების – თ. რ-ისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ



საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 სექტემბრის განჩინებით ზ. რ-ის სარჩელი თ. რ-ისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ მიმართ ხელშეკრულების ბათილად ცნობისა და უძრავი ნივთის მესაკუთრედ ცნობის თაობაზე, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის თაობაზე თ. რ-სა და საბინაო სამშენებლო კოოპერატივ „...“ შორის 1993 წლის 16 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების ბათილობა და შესაბამის უძრავ ქონებაზე უფლება წარმოადგენს.

ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა, შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადად, თუ იგი ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-

ლი ნანლისა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსიდან გამომდინარე განისაზღვრება. არსებითია, თუ როგორია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება. კონკრეტულ შემთხვევაში ხელშეკრულება დადებულია არა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, რაც ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელი ელემენტია, არამედ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის კერძო სამართლებრივი ფორმით. მხარეებს სადავო ხელშეკრულებიდან წარმოეშვათ კერძო სამართლებრივი უფლება-მოვალეობანი. ხელშეკრულების დადების პირობას არ წარმოადგენს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება ან უფლებამოსილების განხორციელება, ანუ ხელშეკრულების საფუძველი არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან. სადავო ხელშეკრულების ობიექტი – ბინა განეკუთვნება არა სახელმწიფო საბინაო ფონდს, არამედ კოოპერატიული ბინათმშენებლობის ფონდის კატეგორიას, რაც ნიშნავს, რომ ბინა არ ყოფილა სახელმწიფოს საკუთრება და იგი სახელმწიფოს სახელით არ განკარგულა, ამდენად, სახეზე არ არის საცხოვრებელი ფართის პრივატიზაციის კლასიკური შემთხვევა; ხოლო ის გარემოება, რომ დავის მოწესრიგებისთვის სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილება, არ განაპირობებს სადავო ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად კვალიფიკაციას, რამდენადაც სახეზე არ არის ამგვარი ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ელემენტი – საჯარო უფლებამოსილების მიზნის განხორციელება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, სადავო ხელშეკრულება სამოქალაქო ხელშეკრულებას წარმოადგენს როგორც ფორმალური, ასევე მატერიალური თვალსაზრისით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს

სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მონესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

ამასთან, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ დავაში მხოლოდ ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა განმსაზღვრელი არ არის დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის, რამდენადაც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65<sup>1</sup> მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ასეთ შემთხვევაში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკ-

რულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანია 1993 წლის 16 ივლისს თ. რ-სა და საბინაო სამშენებლო კოოპერატივ „...“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლითაც თ. რ-ის საკუთრებაში გადავიდა უძრავი ქონება მდებარე – ქ. თბილისი, ... მე-3 მ/რ, 1 კვარტ. კორპ. 6, ბინა 10 და აღნიშნული უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სადავო ხელშეკრულება არ განეკუთვნება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიას, ვინაიდან, როგორც საქმის მასალებით დასტურდება, სადავო ბინა მიეკუთვნება საბინაო სამშენებლო კოოპერატივის საკუთრებას, რომელიც პაის გადახდის შემდეგ გადავიდა კერძო პირის საკუთრებაში. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს სახელმწიფოს მხრიდან მოქალაქეთათვის სახელმწიფო საბინაო ფონდში ამ უკანასკნელთა მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) ნებაყოფლობით შეღავათიანი პირობებით საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ფაქტი. სადავო ხელშეკრულების ობიექტი – ბინა არ მიეკუთვნებოდა სახელმწიფო საბინაო ფონდის კატეგორიას, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მას ვერ განკარგავდა როგორც სახელმწიფო საკუთრებას, რაც გამორიცხავს სადავო ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებათა კატეგორიისადმი მიკუთვნების შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებას, რომ დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის ასევე განმსაზღვრელი არაა ის გარემოება, რომ დავის მონესრიგებისას სხვა ნორმატიულ აქტებთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის №107 დადგენილება, ვინაიდან, სახეზე არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულების უმნიშვნელოვანესი ელემენტი – საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინის-

ტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი დავაა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ზ. რ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**კარქოსამართლებრივი ფორმით დადებული  
ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის  
ბანსჯადობა**

**ბანძინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-923-915(გ-16)

30 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა შპს „...“ განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის.

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტების შემდეგ მოითხოვა: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შპს „...“ 17261 ლარის ფარგლებში დაკისრებული პირგასამტეხლოების გაუქმება; მხარეებს შორის 14.01.15წ. №01-13/2, №01-14/2, №01-15/2, №01-16/2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ხელშეკრულებების მე-11 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს შემცირება, მოპასუხის მიერ ზედმეტად მიღებული თანხის 76 169, 22 ლარის მოსარჩელისათვის დაბრუნების დაკისრება, შპს „...“ სასარგებლოდ 2015 წლის 04 სექტემბრიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე მიუღებელი შემოსავლის სახით 76 169.22 ლარის წლიური 13%-ის დაკისრება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს განათლებისა და

მეცნიერების სამინისტრომ 11.12.14წ. გამოაცხადა ექვსი ტენდერი საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურებაზე. ხელშეკრულების პროექტი ითვალისწინებდა შეუსაბამოდ დიდ პირგასამტეხლოს, რაც აზრს უკარგავდა ტენდერში მონაწილეობის მიღებას. ამის გამო, ტენდერით დაინტერესებული შპს „...“, შპს „ნ...“ და შპს „მ...“ დირექტორები შეხვდნენ სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსს, რომელმაც შპს-ების დირექტორებს დაუზუსტა, რომ პირგასამტეხლო გამოითვლებოდა არა მიმართულების მთლიანი ჯამური ღირებულების, არამედ, მიმართულების იმ თვის ჯამური ღირებულების ოდენობიდან, რომელ თვეშიც ადგილი ექნებოდა დარღვევას. შპს „...“ გაიმარჯვა ოთხ ტენდერში და მხარეებს შორის 14.01.15წ. გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ოთხი ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანს შეადგენდა საქართველოს სკოლებში მოსწავლეების სატრანსპორტო მომსახურება. 20.02.15წ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შპს „...“ გაუგზავნა ოთხი წერილი, რომლებითაც მოითხოვდა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შეუსრულებლობისა და ხარვეზით შესრულების გამო პირგასამტეხლოს გადახდას. 2015 წლის 20 თებერვლიდან 2015 წლის 13 ივლისის ჩათვლით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ საერთო ჯამში მსგავსი შინაარსის 18 წერილი გაუგზავნა შპს „...“. პირგასამტეხლოს დაკისრების საფუძვლებად წერილებში მითითებულია მიმწოდებელ ორ მიმართულებაზე ერთი სატრანსპორტო საშუალების გამოყენება, რის გამოც არ ხდებოდა მოსწავლეთა შეთანხმებულ დროში ტრანსპორტირება, წერილებში აღინიშნებოდა აგრეთვე, რომ მიმწოდებელი არღვევდა უსაფრთხოების ზომებს და გარკვეულ მიმართულებებზე ტრანსპორტირებას საერთოდ არ ახორციელებდა.

მოსარჩელე თვლის, რომ წამოყენებული პრეტენზიები იყო უსაფუძვლო, მომსახურების უნაკლო შესრულებაზე მეტყველებს მძღოლებსა და სკოლის დირექტორებს შორის ხელმოწერილი ტაბელები, რომლებსაც შენიშვნები არ გამოუთქვამთ. პირგასამტეხლოს დაკისრებას ხელშეკრულებები ითვალისწინებენ მომსახურების სამჯერ ან მეტჯერ შეუსრულებლობის ან ხარვეზიანად შესრულების შემთხვევაში, რასაც ადგილი არ ჰქონია. 20.02.15წ. წერილებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოების გარდა, დანარჩენი პირგასამტეხლო გამოთვლილია მიმართულების ჯამური ღირებულების ოდენობიდან და არა მი-



მართულების თვის ჯამური ღირებულების ოდენობიდან, რაზე-  
დაც მხარეები შეთანხმდნენ შეხვედრისას. შეუსაბამოდ მაღალ  
პირგასამტეხლოსთან დაკავშირებით შპს „...“ მიმართა საქარ-  
თველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რომელ-  
მაც მიუთითა, რომ ხელშეკრულებებში ცალსახადაა განსაზ-  
ღვრული პირგასამტეხლოს გამოთვლის შესაძლებლობა მიმარ-  
თულების ჯამური ღირებულებიდან და არსებული ფორმული-  
რება სხვაგვარად ინტერპრეტირების შესაძლებლობას არ იძ-  
ლევა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...“ მოითხოვა  
პირგასამტეხლოს შემცირება, სამინისტროსათვის მოსარჩელის  
სასარგებლოდ მიუღებელი შემოსავლის სახით თანხის დაკის-  
რება.

მოსამზადებელ სხდომაზე მოპასუხე მხარე მიმართა სასა-  
მართლოს შუამდგომლობით, რომელშიც აღნიშნა, რომ საქმე არ  
არის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის  
განსჯადი. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქ-  
მეთა კოლეგიის 27.06.16წ. განჩინებით შპს „...“ სარჩელი საქარ-  
თველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ  
განსახილველად, განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქა-  
ლაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სა-  
სამართლო მიუთითა, რომ საქართველოს მთავრობის 21.05.04წ.  
№37 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს განათლე-  
ბისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის  
მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, კანონმდებლობით  
მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში საქართველოს გა-  
ნათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს გა-  
ნათლებისა და მისი ფორმების არჩევის კონსტიტუციური უფ-  
ლების განხორციელებას. „ზოგადი განათლების შესახებ“ საქარ-  
თველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის  
შესაბამისად, საქართველოში ზოგადი განათლების სფეროში სა-  
ხელმწიფო მიზნების განსახორციელებლად სახელმწიფო უზ-  
რუნველყოფს ზოგადი განათლების ღიაობას და თანაბარ ხელ-  
მისაწვდომობას ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობა-  
ში. ამავე კანონის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, სა-  
ხელმწიფო უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის (მათ შო-  
რის სსსმ მოსწავლის) მიერ ზოგადი განათლების თავის საცხოვ-  
რებელ ადგილთან მაქსიმალურად ახლოს, სახელმწიფო ან მშობ-  
ლიურ ენაზე მიღების უფლებას. სასამართლომ აღნიშნა, რომ  
მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებები დადებულია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამების დაფინანსების ფარგლებში. განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება და შესაბამისად, შპს „...“ დადებული ხელშეკრულებები ადმინისტრაციული ხელშეკრულებებია, რის გამოც დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 15.11.16წ. განჩინებით შპს „...“ სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსიდან გამომდინარე განისაზღვრება. არსებითია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან დადგენილი მოთხოვნების სამართლებრივი ბუნება. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების შესრულება არ უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას, ხელშეკრულებების მხარეები კერძო სამართლის სუბიექტებად გვევლინებიან. ამდენად, სადავო ურთიერთობა სამოქალაქო სამართლებრივი კატეგორიისაა და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ შპს „...“ სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 11.12.14წ. გამოაცხადა 6 ტენდერი საავტომობილო ტრანსპორტით მომსახურების თაობაზე. შპს „...“ გაიმარჯვა 4 ტენდერში და 14.01.15წ. მხარეებს შორის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ოთხი ხელშეკრულება გაფორმდა. ხელშეკრულებების საფუძველზე კერძო სამარ-

თლის იურიდიულმა პირმა იკისრა საქართველოს სკოლებში მოსწავლეთა სატრანსპორტო მომსახურების ვალდებულება შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ. განსახილველ შემთხვევაში სადავოა შპს „...“ და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის 14.01.15წ. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობები, სადავო არ არის სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, რომლის შედეგადაც დაიდო მხარეებს შორის ხელშეკრულებები. დავის საგანს არ შეადგენს სახელმწიფო შესყიდვების პროცედურა, რომელიც წინ უძღოდა მხარეებს შორის ხელშეკრულებების დადებას. დავის საგანია პირგასამტეხლოს ოდენობა, მოპასუხის მიერ პირგასამტეხლოს სახით უკვე მიღებული თანხის უკან დაბრუნება. ამდენად, ის გარემოება, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება დაიდო სახელმწიფო შესყიდვების მომწესრიგებელი კანონმდებლობით დადგენილი წესით, არ ადასტურებს მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებას.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებაში მითითება ზოგადი განათლების ღიაობასა და თანაბარ ხელმისაწვდომობაზე („ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 2.2 მუხ. „ა“ ქვეპუნქტი), სახელმწიფოს ვალდებულებაზე უზრუნველყოფის თითოეული მოსწავლე ზოგადი განათლებით თავის საცხოვრებელ ადგილთან მაქსიმალურ სიახლოვეს („ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 7.1 მუხ.), ასევე არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას. სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებული ხელშეკრულება. ამასთანავე, აღნიშნული მიზნის მისაღწევად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები. ადმინისტრაციულ ორგანოს კანონმდებლობით განსაზღვრული აქვს როგორც კომპეტენცია, ასევე მისი განხორციელების სამართლებრივი საშუალებები. ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ყოველთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივია. ადმინისტრაციული ორგა-

ნოს მიერ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე, მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ადმინისტრაციული ორგანოა, ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურიერთობის ბუნებას. საჯაროსამართლებრივი და კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ სადავო სამართალურიერთობის იმანენტურ ბუნებას. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების ბუნებას ხელშეკრულების საგანი განაპირობებს. ხელშეკრულების ბუნების განსაზღვრისათვის საქმის საგნობრივი განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის ხელშეკრულების მხარის შეხედულებას არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, შესაბამისად სამინისტროს წარმომადგენლის შუამდგომლობაში განსჯადობასთან დაკავშირებით მოყვანილი მოსაზრებები არ ადასტურებს დავის საჯარო-სამართლებრივ ხასიათს. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული მისი შეხედულებით უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება საჯაროსამართლებრივ ნორმებს, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძოსამართლებრივი ფორმები და, შესაბამისად, დადოს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას არ ადასტურებს აგრეთვე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ტრანსპორტირების მომსახურების თანხის გამოყოფა საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამის დაფინანსების ფარგლებში. პროგრამის თანახმად შესაბამის დეპარტამენტს დაევალა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებთან ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულების მხარეებს შორის არ არსებობს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა, ხელშეკრულების დადებით კონტრაჰენტი არ აღჭურვილა საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით, მოსარჩელის მოთხოვნებს საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მუხლები (სკ-ის 417-ე, 420-ე მუხ.).

კანონმდებლობა განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიას, ად-

გენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს – რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეები. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განხილვა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულებისაგან გამიჯვნისათვის მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, ხელშეკრულების დადების შედეგად ადმინისტრაციულ ორგანოს როგორც წესი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან ქმედების (რეალაქტის) განხორციელების ვალდებულება წარმოექმნება, შესაძლებელია აგრეთვე ხელშეკრულების დადების შედეგად მხარის საჯაროსამართლებრივი უფლება-მოვალეობებით აღჭურვა. შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნას ამყარებს სამოქალაქო კოდექსის 417-ე და 420-ე მუხლებს, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას. დავის საგანი უკავშირდება პირგასამტეხლოს, მის ოდენობას, დაკისრების კანონიერებას. პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. პირგასამტეხლოს აქვს ნაკისრი ვალდებულების შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების საშუალება, პირგასამტეხლოზე უფლება, მისი ოდენობა სამართლიან სამოქალაქო ბრუნვას უკავშირდება და აქცესორულ უფლებას წარმოადგენს. მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის 14.01.15წ. და-

დებული ხელშეკრულებები სატრანსპორტო მომსახურებას ეხება, ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არ გააჩნია სახელისუფლო უფლებამოსილება მეორე მხარის მიმართ. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივია. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება (სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხ., სზაკ-ის 65<sup>1</sup> მუხ.). შესაბამისად ამ ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის, სზაკ-ის 65<sup>1</sup> მუხლის შესაბამისად, სამოქალაქო სასამართლოწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სამართალურთიერთობას არ გააჩნია საჯაროსამართლებრივი ურთიერთობისთვის დამახასიათებელი ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობანი. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებას წარმოადგენს, არ არსებობს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრული პირობები მოცემული დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნებისათვის, შესაბამისად დავა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა გადაწყდეს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე, 399-ე მუხლებით, და

## **დაადგინა:**

1. შპს „...“ სარჩელი მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### 3. ტერიტორიული განსჯადობა

#### განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით

##### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-596-593(გ-17)

14 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

##### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 27 თებერვალს შპს „...“ და შპს „...“ პარტნიორებმა: მ. გ-მა, თ. მ-ემ, ფ. ტ-ემ, მ. ო-მა, ლ. ხ-ემ, ნ. ს-მა, ვ. ჭ-ემ, ლ. ჯ-მა, მ. ნ-მა, ს. მ-მა, ა. მ-ემ, ი. ხ-ემ, ლ. ბ-მა, მ. უ-ამ, მ. ნ-მა, მ. ა-მა, ნ. ს-მა, ლ. ლ-ემ, მ. ქ-მა და დ. დ-მა სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელებმა მოპასუხის მიერ გამოცემული უარის (რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა საჩივარი), სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 10 აგვისტოს №... აქტის ბათილად ცნობა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (რომლითაც პირველ მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცემა ქ. გორში, ... №5-ში და ... ქ. №70-ში მდებარე უძრავი ქონებები, მეორე მოსარჩელეებს საკუთრებაში გადაეცემათ შპს „...“ 100% წილი, 2010 წლის 30 აპრილის კრების ოქმის მიხედვით) გამოცემის დავალეზა მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 6 მარტის განჩინებით შპს „...“, შპს „...“ პარტნიორების: მ. გ-ის, თ. მ-ის, ფ. ტ-ის, მ. ო-ის, ლ. ხ-ის, ნ. ს-



ის, ვ. ჭ-ის, ლ. ჯ-ის, მ. ნ-ის, ს. მ-ის, ა. მ-ის, ი. ხ-ის, ლ. ბ-ის, მ. უ-ას, მ. ხ-ის, მ. ა-ის, ნ. ს-ის, ლ. ლ-ის, მ. ქ-ისა და დ. დ-ის სარჩელი, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით. მოსარჩელეთა მოთხოვნას ასევე წარმოადგენდა შპს „...“ მესაკუთრედ აღიარება ქ. გორში, ... №70-ში მდებარე უძრავ ქონებაზე, ასევე შპს-ს პარტნიორებისათვის საკუთრებაში შპს „...“ 100% წილის გადაცემა, 2010 წლის 30 აპრილის კრების ოქმის მიხედვით. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, კონკრეტულ შემთხვევაში კი ასეთ სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო.

საქალაქო სასამართლომ სამართლიანი სასამართლოს უფლებასთან მიმართებაში მიუთითა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაზე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტზე, ასევე – ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაზე და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადანყვეტილებაზე საქმეზე „გოლდერი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“ (GOLDER v. THE UNITED KINGDOM. Judgment of 21 February 1975).

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 14 ივნისის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე დავის ტერიტო-

რიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანია მოპასუხის მიერ გამოცემული უარის, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა საჩივარი, სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 10 აგვისტოს №... აქტის ბათილად ცნობა და სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც პირველ მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცემა ქ. გორში, ... №5-ში და ... №70-ში მდებარე უძრავი ქონებები, მეორე მოსარჩელეებს საკუთრებაში გადაეცემათ შპს „...“ 100% წილი, 2010 წლის 30 აპრილის კრების ოქმის მიხედვით.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, სადავო აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტების გამოცემის დავალდებულების შესახებ განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე.

სასამართლომ მიიჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი) თბილისის საქალაქო სასამართლოს ად-

მინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. სასამართლოს განმარტებით, ის ფაქტი, რომ სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს ქ. გორში მდებარე უძრავ ქონებაზე გამოცემული აქტების ბათილად ცნობა და ახალი აქტის გამოცემის დავალდებულება, კონკრეტული საქმის ტერიტორიულ განსჯადობაზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა ნივთის ადგილსამყოფელს, არამედ სადავო ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების (მოპასუხე იურიდიული პირები) ადგილსამყოფელია ქ. თბილისი. მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრულ ნივთობრივ განსჯადობას, რადგან სარჩელით სადავოა არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, არამედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება.

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ გორის რაიონულ სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაგზავნა არ შეესაბამებოდა ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და გორის რაიონული სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გორის რაიონულმა სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაცი-

ული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას, იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამონებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით. სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამონმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯა-

დობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს: 1. მოპასუხის მიერ გამოცემული უარის (რომლითაც არ დაკმაყოფილდა მოსარჩელეთა საჩივარი) ბათილად ცნობა; 2. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 10 აგვისტოს №... აქტის ბათილად ცნობა; 3. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რომლითაც პირველ მოსარჩელეს საკუთრებაში გადაეცემა ქ. გორში, ... №5-ში და ... ქ. №70-ში მდებარე უძრავი ქონებები, მეორე მოსარჩელეებს საკუთრებაში გადაეცემათ შპს „...“ 100% წილი, 2010 წლის 30 აპრილის კრების ოქმის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...“ და შპს „...“ პარტნიორების: მ. გ-ის, თ. მ-ის, ფ. ტ-ის, მ. ო-ის, ლ. ხ-ის, ნ. ს-ის, ვ. ჭ-ის, ლ. ჯ-ის, მ. ნ-ის, ს. მ-ის, ა. მ-ის, ი. ხ-ის, ლ. ბ-ის, მ. უ-ას, მ. ხ-ის, მ. ა-ის, ნ. ს-ის, ლ. ლ-ის, მ. ქ-ის, დ. დ-ის სარჩელი

განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ და შპს „...“ პარტნიორების: მ. გ-ის, თ. მ-ის, ფ. ტ-ის, მ. ო-ის, ლ. ხ-ის, ნ. ს-ის, ვ. ჭ-ის, ლ. ჯ-ის, მ. ნ-ის, ს. მ-ის, ა. მ-ის, ი. ხ-ის, ლ. ბ-ის, მ. უ-ას, მ. ხ-ის, მ. ა-ის, ნ. ს-ის, ლ. ლ-ის, მ. ქ-ის, დ. დ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სადავო ქონების  
ადგილმდებარეობის მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-439-436(გ-17)

13 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 13 აპრილს ს. მ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 15 მარტის №... და 2017 წლის 12 იანვრის №... ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ახალი აქტების გამოცემა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 აპრილის განჩინებით ს. მ-ის სარჩელი, მოპასუხე – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნა, რომ ხსენებული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის

ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის გარდაბნის მუნიციპალიტეტში მდებარე უძრავი ნივთის რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების კანონიერების საკითხს. ამდენად, ხსენებული საქმის განხილვისას შესწავლილ უნდა იქნეს რამდენად მართებულად იქნა მიღებული გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების დროს. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენს რუსთავის საქალაქო სასამართლო. გარდა აღნიშნულისა, დავის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დადგენის მიზნით, შესაძლებელია საჭირო გახდეს ისეთი საპროცესო მოქმედების განხორციელება, როგორცაა ადგილზე დათვალიერება. ამდენად, სასამართლოს მოსაზრებით, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით საქმის განხილვა უფრო ეფექტურს გახდის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 16 აპრილის განჩინებაზე (საქმე №ბს-721-707(გ-14)), სადაც საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ „ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით, კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომ-



ლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებული ორგანოს. აღნიშნული ეხება აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე სარჩელეს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.“

„საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებზე დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. სტრუქტურის რეგიონული ერთეული, სააგენტოსადმი ხაზობრივი დაქვემდებარების, მისი გადაწყვეტილების ზემდგომი რგოლის მიერ გადამონმების შესაძლებლობის, სტრუქტურის ვერტიკალური იერარქიულობის მიუხედავად არ კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა ტერიტორიული ორგანოს აქტის კანონიერება, შესაბამისად, ტერიტორიული ორგანოს აქტი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, ზემდგომი ორგანოს აქტს არ აქვს მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა, საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული აქტი განიხილება არსებით აქტთან ერთად, ამასთანავე მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძვლად არ უთითებს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურის დარღვევის საკითხებს. ამდენად, უწყების იერარქიული სტრუქტურა, ტერიტორიული ორგანოების დაქვემდებარება ზემდგომისადმი, უკანასკნელის მიერ ქვემდგომის გადამონმების შესაძლებლობა არ იწვევს მექანიკურად ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის სასამართლო განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას ზემდგომი ად-

მინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადანყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას“.

სასამართლომ მიუთითა, რომ საკასაციო სასამართლომ დასახელებულ გადანყვეტილებაში ასევე აღნიშნა, რომ „ადმინისტრაციის ცენტრალიზმის შედეგად აღნიშნული წესი ხშირ შემთხვევაში იწვევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, რაც განაპირობებს ამ წესისაგან გამონაკლისების გათვალისწინებას. ტერიტორიული განსჯადობა წყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ტერიტორიულ განსჯადობაზე დავის შემთხვევაში, როგორც წესი, სახეზეა რამდენიმე მოპასუხე. სსკ-ის მე-16 მუხლის თანახმად, ტერიტორიული განსჯადობის გადანყვეტა ხდება ერთ-ერთი მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. ამასთანავე, განსჯადობის ხსენებული წესი არ ხდის საქმის განსჯადობას დამოკიდებულს მხოლოდ მოსარჩელის ნებასურვილზე, ალტერნატიულობის მიუხედავად, კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადანყვეტაზე. ასე მაგალითად, უკეთუ ადგილობრივი და ცენტრალური ორგანოს აქტების გაუქმების მოთხოვნით აღძრულ სარჩელში ყურადღება მახვილდება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით ცენტრალური ორგანოს მიერ კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევაზე, სასამართლო განსჯადობის საკითხის რაციონალური გადანყვეტის მოსაზრებები განაპირობებენ საქმის განსჯადობით იმ სასამართლოსადმი დაქვემდებარებას, რომლის იურისდიქციის ტერიტორიაზეც მდებარეობს მოპასუხე ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანო. სასამართლო განსჯადობის საკითხის ამგვარი გადანყვეტას ადგილი აქვს არა მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად უქმდება ტერიტორიული ორგანოს აქტი და ზემდგომი ორგანო საჩივრის დაკმაყოფილების გზით გამოსცემს ახალ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, არამედ აგრეთვე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ზემდგომი ორგანოს მიერ ადმინისტრაციული საჩივარი არ კმაყოფილდება და უცვლელად რჩება გასაჩივრებული აქტი. უკანასკნელ შემთხვევაში საქმის დაქვემდე-

ბარება ცენტრალური ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით შესაძლებელია მოხდეს იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის საფუძვლად უთითებს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვისას დაშვებულ დარღვევებს. სხვა შემთხვევაში, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, გასაჩივრებული აქტის უცვლელად დატოვება, იწვევს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტზე არსებითი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით, რომლის კანონიერება დადასტურდა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად“.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 აპრილის განჩინებას და 2017 წლის 8 მაისის განჩინებით მოსარჩელე ს. მ-ის სარჩელი, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის მოთხოვნით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასამართლოს სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხედ ასახელებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის

უფროსის 2017 წლის 15 მარტის №... და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით. მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრება სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფები და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულები, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები: ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი.

დასახელებული ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიზანია შესაბამისი პირებისთვის სანდო და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის წარმოება და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი სარეგისტრაციო პოლიტიკის გატარება. ამავდროულად მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით კი განსაზღვრულია დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები: უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის, სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლის, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.

დასახელებული ბრძანების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგიონული ოფისის საქმიანობის მიზანია მის სამომავლო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების შესრულება კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. რეგიონული ოფისის ძირითადი ფუნქციებია: ა) უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქარ-

თველოს კანონით განსაზღვრული უფლებების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის, სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებათა რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი გადანყვეტილების მიღებით; ბ) რეგიონულ ოფისში დაცული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშეუსაბამობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გ) შესაბამის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; დ) განხორციელებული საქმიანობისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ყოველი კვარტალის ბოლოს ანგარიშის წარდგენა უფლებამოსილი პირებისთვის; ე) სარეგისტრაციო პროცედურების გაუმჯობესების მიზნით შესაბამისი სტრუქტურული, საკადრო, ნორმატიული თუ ტექნიკური ხასიათის კონკრეტული წინადადებების შემუშავება და ყოველი კვარტალის ბოლოს ხელმძღვანელობისთვის წარდგენა; ვ) უფლებამოსილების ფარგლებში კორესპონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება; ზ) სააგენტოს დებულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ხელმძღვანელების ცალკეული დავალებების შესრულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

დასახელებული ნორმის ანალიზის საფუძველზე სასამართლომ დაადგინა, რომ ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის ფუნქციას არ წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ამასთან, ეს უკანასკნელი, მოსარჩელეს მოპასუხედაც არ დაუსახელებია და არც მის მიერ მიღებული რომელიმე გადანყვეტილება გაუხდია სადავოდ.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია არა საკუთრება უძრავ ქონებაზე, არამედ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იუ-

რიდიული დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 15 მარტის №... გადაწყვეტილებისა და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ 2017 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. ხოლო მოპასუხედ დასახელებულია აქტის გამომცემი ორგანო, რომლის ადგილსამყოფელია ქ.თბილისი. შესაბამისად, სარჩელი უნდა იქნეს განხილული მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. სასამართლომ განმარტა, რომ ს. მ-ის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება ან უკვე რეგისტრირებული საკუთრების უფლების გაუქმება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება მოცემული აქტი და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, რომლითაც მოსარჩელეს უარი ეთქვა საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, ხოლო რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველად მითითებულია, რომ გარდაბნის მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის მიერ ს. მ-ის განცხადება, თვითნებურად დაკავებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ იქნა დაკმაყოფილებული. აღნიშნული გადაწყვეტილება მოცემული დავის ფარგლებში სადავოდ არ გამხდარა. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახურის ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 7 აპრილის №ბს-141-140(გ-16) განჩინებაზე, სადაც განმარტებულია, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. სსკ-ის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა განსჯადობის განსაზღვრის შესაძლებლობას უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით (სუს 23.01.15წ. №ბს-816-802(გ-14); 04.06.15წ. №ბს-280-276(გ-15)).

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება არა უძრავ ქონებას, არამედ უძრავი ქონების გადაცემას-

თან დაკავშირებით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 15 მარტის №... და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ 2017 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილებების) კანონიერებას. ტერიტორიული განსჯადობა ნყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ს. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამარ-



თლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემ-

თხვევაში სახეზე გვაქვს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სარჩელი და სადავო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები.

იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი, სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს გარდაბნის რაიონში, სოფ. .... საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ს. მ-ის სარჩელი უნდა განიხილოს რუსთავის საქალაქო სასამართლომ და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს მხოლოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რადგან აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (საქართველოს უზენაესი სასამარ-

თლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-952-943(გ-16); 2017 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-960-951(გ-16)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ დავებზე, სადავო ქონების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით ს. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სადავო ქონების აღზომდაბარეობის  
მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-639-635(გ-17)

19 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 26 აპრილს ც. ბ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მესამე პირის – ქ. მ-ის მიმართ.

მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 მარტის №... გადაწყვეტილებისა და 2008 წლის 9 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივნისის განჩინებით ც. ბ-ის სარჩელი, მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, მესამე პირი – ქ. მ-ი, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედ-

გინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამავე თავის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მინის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით კი, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

სასამართლოს განმარტებით, განსჯადობის აღნიშნული ნე-სი არ ხდის საქმის განსჯადობას დამოკიდებულს მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე – ალტერნატიულობის მიუხედავად, კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. განსახილველ შემთხვევაში, სადავო უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს გარდაბანში (ზონა: გარდაბანი: სექტორი ...).

სასამართლოს მითითებით, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს № 1/150-2007 გადაწყვეტილების შესაბამისად, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა

კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ.

რუსთავის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 12 ივნისის განჩინებას და 2017 წლის 19 ივნისის განჩინებით ც. ბ-ის სარჩელი, მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის მოთხოვნით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სასამართლოს სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე მოპასუხედ ასახელებს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის 2017 წლის 15 მარტის №... და რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 12 იანვრის №... გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით. მე-6 მუხლის პირველი პუნქტით განისაზღვრება სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფები და მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულები, მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტით სააგენტოს ტერიტორიული სამსახურები: ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი. აღნიშნული ბრძანების მე-15 მუხლის პირველი პუნქტით, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის მიზანია შესა-

ბამისი პირებისთვის სანდო და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის წარმოება და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი სარეგისტრაციო პოლიტიკის გატარება. ამავე ნორმის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით კი განსაზღვრულია დეპარტამენტის ძირითადი ფუნქციები: უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის, სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლის, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების მიტოვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.

დასახელებული ბრძანების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, რეგიონული ოფისის საქმიანობის მიზანია მის სამოქმედო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების შესრულება კანონმდებლობითა და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. რეგიონული ოფისის ძირითადი ფუნქციებია: ა) უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების, უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულების წარმოშობის, მათში ცვლილებების და მათი შეწყვეტის, სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულებისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლებათა რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით; ბ) რეგიონულ ოფისში დაცული უფლების დამადასტურებელი დოკუმენტებისა და სხვა დოკუმენტაციის ურთიერთშესაბამისობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა; გ) შესაბამის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; დ) განხორციელებული საქმიანობისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ყოველი კვარტლის ბოლოს ანგარიშის წარდგენა უფლებამოსილი პირებისთვის; ე) სარეგისტრაციო პროცედურების გაუმჯობესების მიზ-

ნით შესაბამისი სტრუქტურული, საკადრო, ნორმატიული თუ ტექნიკური ხასიათის კონკრეტული წინადადებების შემუშავება და ყოველი კვარტლის ბოლოს ხელმძღვანელობისთვის წარდგენა; ვ) უფლებამოსილების ფარგლებში კორექსონდენციის განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება; ზ) სააგენტოს დებულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ხელმძღვანელების ცალკეული დავალებების შესრულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

აღნიშნული ნორმის ანალიზის საფუძველზე რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის ფუნქციას არ წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაცია. ამასთან, ეს უკანასკნელი მოსარჩელეს მოპასუხედაც არ დაუსახელებია და არც მის მიერ მიღებული რომელიმე გადაწყვეტილება გაუხდია სადავოდ.

სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე მითითებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია არა საკუთრება უძრავ ქონებაზე, არამედ ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 მარტის №... გადაწყვეტილებისა და 2008 წლის 9 ივლისის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, ხოლო მოპასუხედ დასახელებულია აქტის გამომცემი ორგანო, რომლის ადგილსამყოფელია ქ.თბილისი. შესაბამისად, სარჩელი უნდა იქნეს განხილული მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. სასამართლოს მითითებით, ც. ბ-ის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მი-



ერ განხორციელებული ქმედება, რა დროსაც განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება მოცემული აქტი და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად, მით უფრო მაშინ, როდესაც განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ სარჩელის ობიექტია – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული მოქმედების (გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის) კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ.№2) თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2014 წლის 29 მაისის №ბს-162-160(გ-14) განჩინებაში ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნებს და განმარტებებს, კერძოდ, სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტე-

რიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. სსკ-ის მე-18 მუხლით რეგლამენტირებულია ნივთობრივი განსჯადობის შესახებ სპეციალური წესები. ხსენებული მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. აღნიშნული ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა განსჯადობის განსაზღვრის შესაძლებლობას უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით (სუს 23.01.156. №ბს-816-802(გ-14); 04.06.156. №ბს-280-276(გ-15)).

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება არა უძრავ ქონებას, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 9 ივლისის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების კანონიერებას. ტერიტორიული განსჯადობა წყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი მოიცავს მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 მარტის №... ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 9 ივლისის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, მოპასუხედ დასახელებულია მხოლოდ ერთი ადმინისტრაციული ორგანო – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, შესაბამისად სახეზე არ არის ალტერნატიული განსჯადობა.

ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 9 ივლისის №... რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ. უფრო მეტიც, საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ დადგენილებით, შეიცვალა ქ. თბილისის და გარდაბნის რაიონის ადმინისტრაციული საზღვრე-

ბი. სოფელ ..., სადაც მდებარეობს ის უძრავი ქონება, რომლის რეგისტრაციის ბათილად ცნობასაც მოსარჩელე მოითხოვს 2007 წლამდე ექვემდებარებოდა გარდაბნის მუნიციპალიტეტს და იყო თემის ცენტრი (სოფლები: ..., ...), 2007 წლიდან დაექვემდებარა ქალაქ თბილისის დიდგორის რაიონს, 2013 წლის თბილისის ტერიტორიული რეფორმის შედეგად გადავიდა მთანმინდის რაიონის შემადგენლობაში. ამდენად, უძრავი ნივთის ადგილსამყოფელიც ქ. თბილისია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ც. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუზღავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესე-

ბი. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 27 მარტის №... გადაწყვეტილებისა და რეგისტრაციის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2008 წლის 9 ივნისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. უძრავი ნივთი, რომლის რეგისტრაციის ბათილად ცნობასაც ეხება სადავო აქტები, დღეის მდგომარეობით მდებარეობს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სარჩელი და სადავო რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები.

საკასაციო სასამართლო იზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს განმარტებას იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ად-

მინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის №4173-რს დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა „ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის №574 განკარგულებით მოწონებული ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის მიხედვით და აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ცვლილების შესაბამისად, ზონა გარდაბანი, სექტორი ... შევიდა ქ. თბილისის შემადგენლობაში, მაგრამ არ იზიარებს რუსთავის საქალაქო სასამართლოს განმარტებას კონკრეტული განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ტერიტორიული განსჯადობის წესების გამოყენებისა და სარჩელის განსახილველად მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით დაქვემდებარების თაობაზე და განმარტავს, რომ იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი, სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ვინაიდან ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში, ც. ბ-ის სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადანაცვლება ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატი 2017 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-952-943(გ-16); 2017 წლის 16 მაი-

სის განჩინება საქმეზე №ბს-960-951(გ-16); 2017 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-439-436(გ-17)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ დავებზე, სადავო ქონების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით ც. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ც. ბ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სადავო ქონების აღზომდაბარების  
მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-597-594(გ-17)

21 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა საქართველოს საპატრიარქოს სარჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და გორის რაიონულ სასამართლოს შორის.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს საპატრიარქომ 2017 წლის 21 მარტს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოპასუხის 2017 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 მარტის განჩინებით საქართველოს საპატრიარქოს სარჩელი, მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე და სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობა გადაეგზავნა განსჯად გორის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლებზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგა-

დიპრინციპის თანახმად, ისეთი ადმინისტრაციული კატეგორიის დავეების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ ქონებას ეხება, განსჯადი სასამართლო უნდა განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილების კანონიერების საკითხი, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის 2001 წლის 19 ნოემბრის №... გადაწყვეტილება, რეგისტრაციის შესახებ კასპის სარეგისტრაციო სამსახურის 2011 წლის 13 ივნისის №... და 2014 წლის 16 აპრილის №... გადაწყვეტილებები ეკლესიის რეგისტრაციის ნაწილში და №..., №... და №... განცხადებებთან დაკავშირებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის შიდა ქართლის რეგიონულ ოფისს დაევალა რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება, ეკლესიის რეგისტრაციის მოთხოვნის ნაწილში (შენობა-ნაგებობა ფართობით 62,29 კვ.მ და მიწის ნაკვეთი ფართობით 103 კვ.მ), სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის შიდა ქართლის რეგიონულ ოფისსა და გეოდეზიისა და გეოინფორმაციის დეპარტამენტს ასევე დაევალათ რეგისტრირებულ მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა და 67.04.41.032 მიწის ნაკვეთზე მდებარე ეკლესიისა და კოშკის რეგისტრირებული მონაცემების ფაქტობრივ ადგილმდებარეობასთან შესაბამისობაში მოყვანა.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავეების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. ამასთან, მართალია განსახილველ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, თუმცა უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს კასპის რაიონის სოფელ ..... ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის



სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება.

გორის რაიონული სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 24 მარტის განჩინებას და 2017 წლის 30 მარტის განჩინებით საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, რომელიც საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ტექნიკური ხარვეზის გასწორების შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება და არა უძრავ ნივთზე საკუთრების უფლება, ქონების უფლებრივი დატვირთვა ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლება, აგრეთვე ქონების გაყოფა, განაწილება და ფლობა. სადავო აქტის ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტი და სად მდებარეობს უძრავი ქონება, არამედ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. მოსარჩელე წარმოდგენილ სარჩელში მხოლოდ ერთ მოპასუხეს – საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უთითებს, ხოლო სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი) – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის

თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და გორის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ საქართველოს საპატრიარქოს სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება გორის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე გორის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სამო-

ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია კასპში, სოფელ ..... 62,29 კვ.მ შენობა-ნაგებობასა და 103 კვ.მ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების კანონიერების შემოწმების შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 17 იანვრის №... გადაწყვეტილება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გორის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – გორის, გორისა და კასპის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით, აგრეთვე „დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის შექმნის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2007 წლის 8 მაისის დადგენილებით შექმნილი დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის (გარდა ახალგორისა და თიღვის მუნიციპალიტეტებისა) ტერიტორიით. (16.06.2014 №1/55 ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან).

იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს კას-

პში, სოფელ ..... და საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ საქართველოს საპატრიარქოს სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ გორის რაიონულ-მა სასამართლომ, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში.

საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა ერთიანმა ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით განსაზღვრულ სასამართლოში დავების კონცენტრაცია. აღნიშნულით განხორციელდება ერთგვაროვან საქმეთა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავმოყრა და რაიონული სასამართლოებისათვის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შემცირება, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი, რომლის დარღვევა გამოიწვევს ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელებას.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ დავებზე, სადავო ქონების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით საქართველოს საპატრიარქოს სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს გორის რაიონულ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. საქართველოს საპატრიარქოს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **განსჯადობა სადავო ქონების აღბიძგება რეკომენდაციით**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-984-980(გ-17)

7 დეკემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 5 მაისს ს. ხ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული ოფისისა და მ. ხ-ის მიმართ.

მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 21 ნოემბრის №... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეეს-

ტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა. ამასთან, მოსარჩელემ სარჩელის უზრუნველყოფის მიზნით, ამბროლაურის რაიონში, სოფელ ... მდებარე მ. ხ-ის 298 კვ.მ უძრავი ქონების გასხვისებისა და უფლებრივად დატვირთვის აკრძალვის თაობაზე იშუამდგომლა.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე განსჯადობის მიხედვით, განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ამბროლაურის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის 3.2 მუხლზე, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ, სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში, წარმოდგენილი სარჩელით, მოთხოვნილია ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობა, მოპასუხედ კი მითითებულია იმერეთის საჯარო რეესტრი (მისამართი: ქ.ქუთაისი, ი. აბაშიძის №20) და მ. ხ-ე (მისამართი: ქ. ქუთაისი, ... გამზ. 28/10), რომელთა მისამართია ქ.ქუთაისი, რის გამოც, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა უფლებამოსილ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განჩინებით ს. ხ-ის შუამდგომლობა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა; მ. ხ-ეს აეკრძალა ამბროლაურის რაიონის, სოფელ ... (ს/კ ...) მდებარე 298 კვ.მ მიწის ნაკვეთის გასხვისება და უფლებრივად დატვირთვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 5 მაისის განჩინებას და 2017 წლის 5 ოქტომბრის განჩინებით ს. ხ-ის სარჩელი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იმერეთის რეგიონული ოფისის და მ. ხ-ის მიმართ, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართვე-

ლოს უზენაეს სასამართლოს.

ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ დავა შეეხება უძრავ ნივთს, რომელიც მდებარეობს ამბროლაურში, სოფელ ... და მოსარჩელის ინტერესს წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების მე-5 მუხლზე, რომლის თანახმად, სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით. ასევე, დებულების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფია ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტი, რომელშიც შედის: ცენტრალიზებული რეგისტრაციის სამსახური და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახური, რომელსაც ექვემდებარება ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ტერიტორიული სამსახურები. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ და „ლ“ ქვეპუნქტების თანახმად, იმერეთის რეგიონული ოფისი და ამბროლაურის ფილიალი წარმოადგენს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს. დებულების მე-10 მუხლის შესაბამისად, სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის – რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი, ისევე როგორც სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის – ფილიალის ხელმძღვანელი უფროსის ოპერატორი ანგარიშვალდებულნი არიან სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის უფროსების წინაშე.

დასახელებული საკანონმდებლო ნორმების ანალიზის შედეგად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ამბროლაურის ფილიალი არ წარმოადგენს იმერეთის რეგიონული ოფისის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიულ სამსახურს, არამედ ორივე მათგანი არის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიული სამსახური.

სასამართლომ მიუთითა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტზე, რომლის შესაბამისად, რეგიონული ოფისის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებების,

უძრავ ნივთზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოშობის, მათში ცვლილების და მათი შეწყვეტის, სუბიექტისა და ობიექტის საიდენტიფიკაციო მონაცემების შეცვლის, უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების მიტოვების, მიწის მიზნობრივი დანიშნულების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კატეგორიის შეცვლის შესახებ მონაცემთა აღრიცხვა უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრში, რეგისტრაციის თაობაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებით.

რაც შეეხება ფილიალის ფუნქციებს, სასამართლოს მითითებით, იგი მოცემულია დებულების 31-ე მუხლში, სადაც აღნიშნულია, რომ ფილიალის საქმიანობის მიზანია მის სამოქმედო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების შესრულება კანონმდებლობით და ამ დებულებით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ფილიალის ძირითადი ფუნქციებია: ა. განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება და სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტების გაცემა; ბ. სარეგისტრაციო პროცედურებთან დაკავშირებით მოქალაქეთა ინფორმირება და მათთვის კონსულტაციის გაწევა; გ. კანონმდებლობით დადგენილი წესით და შემთხვევებში, გარიგებების მხარეების ხელმოწერების დადასტურება; დ. შესაბამის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა; ე. განხორციელებული საქმიანობისა და დაკისრებული ვალდებულებების შესრულების თაობაზე ყოველი კვარტლის ბოლოს ანგარიშის წარდგენა უფლებამოსილი პირებისათვის; ვ. უფლებამოსილების ფარგლებში კორექტივების განხილვა და შესაბამისი პასუხის მომზადება; ზ. სააგენტოს დებულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ხელმძღვანელების ცალკეული დავალებების შესრულება, კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

სასამართლომ მიიჩნია, რომ ტერიტორიული სამსახურების – რეგიონული ოფისებისა და ფილიალების ფუნქციათა ამდაგვარი გამიჯვნა არ ნიშნავს, რომ ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით ვერ მოხდება სასამართლოში საქმეთა განხილვა. დასახელებული ნორმების ანალიზი ცალსახად ადასტურებს, რომ ფილიალი მონაწილეობას იღებს რეგისტრაციის შესახებ ადმი-



ნისტრაციულ წარმოებაში და ამასთან, მას მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შესაბამის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის თაობაზე. სასამართლომ მიიჩნია, რომ ასეთ შემთხვევებში „შესაბამისი საქმეების“ ქვეშ სწორედ ფილიალის ტერიტორიაზე, რეგიონის მიხედვით, შესაბამისი უძრავი ნივთების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავები იგულისხმება. რაც შეეხება დებულებით სააგენტოს ტერიტორიული სამსახურების ფუნქციათა ამგვარ გადანაწილებას, სასამართლოს მითითებით, მისი მიზანი არის შესაბამისი პირებისთვის სანდო და მაღალი ხარისხის მომსახურების უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით უძრავ ნივთებზე უფლებათა რეესტრის წარმოება და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთიანი სარეგისტრაციო პოლიტიკის გატარება. ანუ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით ახლებურად მოწესრიგდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურა და გაიმთავრა ოფისის და ფილიალის ფუნქციები, მაგრამ ფილიალი არ წარმოადგენს ოფისის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიულ სამსახურს, შესაბამისად, იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერების შესახებ აღძრულ სარჩელებზე, რომლებიც შეეხება ფილიალის ტერიტორიაზე მყოფ უძრავი ნივთების რეგისტრაციას, დავის განხილვა შესაძლებელია მოხდეს ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლზე, რომლის მიხედვითაც, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. სასამართლომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 18.1 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ დასახელებული ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით.

სასამართლომ განმარტა, რომ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში 2016 წლის 26 ოქტომბერს წარდგენილი განცხადება წარმოადგენს თავად სარეგისტრაციო სამსახურში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გაცხადებულს (ე.წ. პირობითი განცხადება) და ეხება სოფ. ....მდებარე უძრავ ნივ-

თზე რეგისტრირებულ უფლებებში ცვლილების რეგისტრაციას.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-964-955(გ-16) განჩინებაზე, სადაც განმარტებულია, რომ იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი, სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს შემდეგი კრიტერიუმების გათვალისწინებით: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილების განმახორციელებელი ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით და სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. აღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის სააგენტოსა და მის სისტემაში შემაჯავლი რეგონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. ამასთანავე, იმ ტერიტორიულ ერთეულში, სადაც სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს არ გააჩნია ფილიალი, სარჩელის განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით (საერთო განსჯადობის) გათვალისწინებული სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით (იხ. სუს. 16.04.15წ. საქმე №ბს-721-707 (გ-14)). საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 3 მაისის №134 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებით“ ფილიალების უფლებამოსილების შეზღუდვა, ფილიალების იურიდიული მისამართის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფ სასამართლოს არ აქცევს არაგანსჯადად, რამდენადაც აღნიშნული გამოიწვევს რეგონული ოფისების მიხედვით, სასამართლოების გადატვირთვას და ფილიალების ადგილსამყოფლის მიხედვით, სასამართლოების ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შემცირებას, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი.

ზემოაღნიშნული ნორმების ანალიზის საფუძველზე, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად უნდა გადმოგზავნოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

## **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ამბროლაურის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ ს. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო: საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ამბროლაურის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილება და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 21 ნოემბრის №... გადაწყვეტილებისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 19 დეკემბრის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. უძრავი ნივთი, რომლის რეგისტრაციასაც ეხება სადავო აქტები, მდებარეობს ამბროლაურის რაიონში, სოფელ .....

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სახეზე გვაქვს საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული სარჩელი და სადავო რეგისტრაციის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები.

იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი, სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს ამბროლაურის რაიონში, სოფელ.... საკასაციო სასამართლო იზიარებს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ ს. ხ-ის სარჩელი უნდა განიხილოს ამბროლაურის რაიონულმა სასამართლომ და აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს მხოლოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემო-

აღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ საკითხთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლოს მიერ დადგენილია პრაქტიკა (საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-952-943(გ-16); 2017 წლის 16 მაისის განჩინება საქმეზე №ბს-960-951(გ-16); 2017 წლის 13 ივლისის განჩინება საქმეზე №ბს-439-436(გ-17)).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ დავებზე, სადავო ქონების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით ს. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ს. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# განსჯადობა სადავო ქონების აღვიმდებარების მიხედვით

## განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1068-1062(გ-17)

9 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა შპს „...“ სარჩელთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის.

### აღწერილობითი ნაწილი:

შპს „...“ 2017 წლის 18 სექტემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის მიმართ. მოსარჩელემ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის 2017 წლის 7 ივლისის №... გადაწყვეტილების „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“, 2017 წლის 10 ივლისის №... გადაწყვეტილების „სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ“, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და ქ. რუსთავში, ... მიმდებარედ არსებულ 12904.74 კვ.მ. უძრავ ნივთზე შპს „...“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რე-

გიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისისთვის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 25 სექტემბრის განჩინებით შპს „...“ სარჩელი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ №ბს-721-707(გ-14) საქმეზე 2015 წლის 16 აპრილის განჩინებით დადგენილ პრაქტიკაზე, რომლის თანახმად, „საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებზე დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. სტრუქტურის რეგიონული ერთეული, სააგენტოსადმი ხაზობრივი დაქვემდებარების, მისი გადაწყვეტილების ზემდგომი რგოლის მიერ გადამონმების შესაძლებლობის, სტრუქტურის ვერტიკალური იერარქიულობის მიუხედავად არ კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას. ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად დადასტურდა ტერიტორიული ორგანოს აქტის კანონიერება, შესაბამისად, ტერიტორიული ორგანოს აქტი ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას, ზემდგომი ორგანოს აქტს არ აქვს მოცემულ შემთხვევაში დამოუკიდებელი მნიშვნელობა, საჩივრის განხილვის შედეგად მიღებული აქტი განიხილება არსებით აქტთან ერთად, ამასთანავე, მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველად არ უთითებს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცედურის დარღვევის საკითხებს. ამდენად, უწყების იერარქიული სტრუქტურა, ტერიტორიული ორგანოების დაქვემდებარება ზემდგომისადმი, უკანასკნელის მიერ ქვემდგომის გადამონმების შესაძლებლობა არ იწვევს მექანიკურად ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის სასამართლო განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწ-

ვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას“.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელე შპს „...“ სარჩელი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტის გამოცემის თაობაზე, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ვინაიდან მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი, წმ. ნიკოლოზის/წ. ჩხეიძის ქ. №2), თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამას-



თან, აღნიშნულ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“ 2017 წლის 7 ივლისის №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

2. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის „სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ“ 2017 წლის 10 ივლისის №..... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

3. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის

23 აგვისტოს №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა;

4. მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისისთვის ქ. რუსთავში, ... მიმდებარედ არსებულ – 12904.74 კვ.მ. უძრავ ნივთზე შპს „...“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას საგნობრივი, ან/და ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. იმის გათვალისწინებით, სადავო აქტები – კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის „სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ“ 2017 წლის 7 ივლისის №..... გადაწყვეტილება, 2017 წლის 10 ივლისის №..... „სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ“ გადაწყვეტილება და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 23 აგვისტოს №... გადაწყვეტილება ერთი და იმავე სამართალურთიერთობას ეხება, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისი არიან ერთიანი სისტემის ქვედა და ზედა რგოლის ორგანოები. ამდენად, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა საქალაქო სასამართლოებში თავმოყრის ტენდენციის შესუსტების მიზნით, სასამართლო პროცესის ეკონომიზაციის, მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საქმის განხილვა უნდა მოხდეს ძირითადი აქტის გამომტანი ადგილობრივი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი, ნმ. ნიკოლოზის/ნ. ჩხეიძის ქ. №2) თბილი-

სის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, რამდენადაც განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებას, არამედ სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის გადაწყვეტილებას, მოსარჩელე მოითხოვს სააგენტოსა და ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისის აქტების ბათილად ცნობას. ამასთან, მოსარჩელე ითხოვს მოპასუხე – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონული ოფისისთვის ქ. რუსთავეში, ... მიმდებარედ არსებულ – 12904.74 კვ.მ. უძრავ ნივთზე შპს „...“ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას.

ამდენად, საკასაციო პალატა ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებას საქართველოს უზენაესი სასამართლოს №ბს-721-707(გ-14) საქმეზე გამოტანილ 2015 წლის 16 აპრილის განჩინებაზე და დამატებით განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო ადმინისტრაციული ორგანოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის კანონიერება სადავო ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ, სარჩელი აღძრულია ქონების ფლობასთან დაკავშირებით დავაზე. ამდენად, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებული უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები (იხ. სუს. 17.10.176. საქმე №ბს-219-217(გ-17); 14.09.176. საქმე №ბს-715-711(გ-17) განჩინებები).

იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში სადავო აქტით გათვალისწინებული უძრავი ქონება მდებარეობს ქ. რუსთავეში, ... მიმდებარედ და საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ შპს „...“ სარჩელი უნდა განიხილოს სწორედ რუსთავის საქალაქო სასამარ-

თლომ, რადგან ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ის, რომ დავათა არსებობისას, ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ განისაზღვროს უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ.თბილისში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

საკასაციო პალატა ხაზგასმით მიუთითებს, რომ ზემოაღნიშნული საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა ერთიანმა ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით განსაზღვრულ სასამართლოში დავების კონცენტრაცია. აღნიშნულით განხორციელებულ ერთგვაროვან საქმეთა თბილისის საქალაქო სასამართლოში თავმოყრა და რაიონული სასამართლოებისათვის ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შემცირება, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილებისა და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების პრინციპები.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გა-

დანყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ დავებზე, სადავო ქონების ადგილსამყოფლის გათვალისწინებით, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სადავო ქონების აღზომდაზარაობის  
მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-629-625(გ-17)

18 იანვარი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე გ. ხ-ის სარჩელთან დაკავშირებით განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და სამტრედიის რაიონულ სასამართლოს შორის დავა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

გ. ხ-ემ 29.05.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მესამე პირის – ვანის მუნიციპალიტეტის მიმართ და მოითხოვა სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 24.09.2014წ. №... ბრძანების, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსარეო სამართველოს 07.09.2012წ. №... ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ქ. ვანში, ... ქ. №28ა-ში მდებარე უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის საკუთრების უფლებით გადაცემის შესახებ 14.09.2012წ. განხორციელებული რეგისტრაციის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ ქ. ვანში, ... ქ. №28ა-ში მდებარე უძრავი ქონების ვანის მუნიციპალიტეტისათვის სა-

კუთრების უფლებით გადაცემის შესახებ 23.10.2012წ. განხორციელებული რეგისტრაციისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 11.04.2017წ №... ბრძანების ბათილად ცნობა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსათვის ქ. ვანში, ... ქ. №28ა-ში მდებარე უძრავი ქონების გ. ხ-ისათვის საკუთრების უფლებით გადაცემისა და საჯარო რეესტრში დარეგისტრირების დავალე-ბა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. ვანში, ... ქ. №28ა-ში მდებარე შენობა-ნაგებობა თავისივე მიწის ნაკვეთით ვანის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის 31.01.1991 №7 გადაწყვეტილებით, ურთიერთანგარიშსწორების საფუძველზე გადაეცა არქიტექტურულ-დიზაინერულ კოოპერატივ „...“, რომლის დამფუძნებელი იყო გ. ხ-ე. კოოპერატივმა 25.10.1991წ. დასახელებული ობიექტი საკუთრების უფლებით გადასცა მის დამფუძნებელს – გ. ხ-ეს. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 13.10.2016წ. შეიტყო 2012 წლის 7 სექტემბრიდან 2012 წლის 23 ოქტომბრამდე პერიოდში სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის მიერ ქ. ვანში, ... ქ. №28ა-ში მდებარე გ. ხ-ის კუთვნილი უძრავი ქონების რეგისტრაციის ნაჩქარევად და უკანონოდ ჯერ სახელმწიფოს, ხოლო შემდეგ ვანის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრაციის შესახებ. მოსარჩელის მოსაზრებით, აღნიშნული წარმოადგენდა მის მიმართ პოლიტიკური ნიშნით ანგარიშსწორებას. გ. ხ-ემ მიუთითა, რომ სადავო ქონების ვანის მუნიციპალიტეტისათვის გადაცემის შესახებ 24.09.2017წ. №... ბრძანება გაასაჩივრა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში, რომლის 11.04.2017წ. ბრძანებით საჩივარი დარჩა განუხილველად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 05.06.2017წ. განჩინებით გ. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის ვანის მუნიციპალიტეტში მდებარე უძრავ ნივთთან დაკავშირებით მიღებული აქტების კანონიერების საკითხს. შესაბამისად, სსსკ-ის 18.1 მუხლიდან გამომდინარე, სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება. გარდა აღნიშნულისა, სასამართლოს მოსაზრებით, საქმეზე ობიექტური ქვეშარიტების დადგენის მიზ-

ნით, შესაძლებელია საჭირო გახდეს ადგილზე დათვალიერება. ამდენად, უძრავი ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით საქმის განხილვა, უფრო ეფექტურს ხდის მართლმსაჯულების განხორციელების პროცესს. სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე (16.04.2015წ. განჩინება საქმეზე №ბს-721-707(გ-14)), რომლის თანახმად საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებზე დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობის და სხვა მოსაზრებებით. სტრუქტურის რეგონალური ერთეული, სააგენტოსადმი ხაზობრივი დაქვემდებარების, მისი გადაწყვეტილების ზემდგომი რგოლის მიერ გადამონმების შესაძლებლობის, სტრუქტურის ვერტიკალური იერარქიულობის მიუხედავად არ კარგავს დამოუკიდებელ მნიშვნელობას.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 23.06.2017წ. განჩინებით გ. ხ-ის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ სსსკ-ის 15.1 მუხლის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. მოცემული ნორმა თავისი ხასიათით, შინაარსითა და იურიდიული ბუნებით არის ზოგადი და, ამავე დროს იმპერატიული, რომელიც ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად ადგენს განსჯად სასამართლოს ტერიტორიული ნიშნის, ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ არაერთგზის განიმარტა, რომ ისეთ შემთხვევაში, თუ დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, სარჩელი საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ, ასეთს კი სარჩელით მითითებული მოპასუხე იურიდიული პირების ადგილსამყოფლის მიხედვით წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მოპასუხეთა წრის დაზუსტების შემდეგ, შესაძლოა ქუთაისის საქალაქო სასამართლოც, რამდენადაც სარჩელით წარმოდგენილი მოთხოვნები მიმართულია ასევე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმი-ქვემო სვა-



ნეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს მიმართ, რომლის იურიდიული მისამართია ქ. ქუთაისი, ჯავახიშვილის ქ. №5. სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ სსსკ-ის მე-18 მუხლი არ არის იმპერატიული ხასიათის და არ ავალდებულებს მოსარჩელეს სარჩელი წარადგინოს უძრავი ქონების მდებარეობის მიხედვით მოქმედ სასამართლოში. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მართებულად მოახდინა თავისი უფლების რეალიზება და სწორად განსაზღვრა სარჩელის განმხილველი სასამართლო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სამტრედიის რაიონული სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაცი-

ციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული ეხება აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე სარჩელებს. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს ქ. ვან-ში, ... ქ. №28ა-ში მდებარე უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განხორციელებული რეგისტრაციები. ამასთანავე, მოსარჩელის საბოლოო მიზანს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვება და მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია წარმოადგენს. შესაბამისად, სარჩელის ყველა მოთხოვნა აღნიშნული მიზნიდან გამომდინარეობს. სსკ-ის მე-18 მუხლის მიხედვით უძრავ ნივთებთან დაკავშირებული დავა შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, კანონმდებლობა უშვებს უძრავი ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით დავის განხილვას. მართალია, ხსენებული მუხლი არ არის კატეგორიული და არ გამორიცხავს სარჩელის აღძვრას საერთო განსჯადობის ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, მოსარჩელის არჩევით, თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციის ცენტრალიზმის შედეგად საერთო წესი ხშირ შემთხვევაში იწვევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, დასაშვებად უნდა იქნეს მიჩნეული ნივთობრივი განსჯადობისათვის უპირატესობის მინიჭება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 5.1 მუხლის თანახმად, სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფე-

ბის, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით. ამავე დებულების 6.2 მუხლის შესაბამისად, სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებია რეგიონული ოფისი და ფილიალი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო ქონების სახელმწიფო საკუთრებად დარეგისტრირების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამსარეო სამმართველომ 07.09.2012წ. №ტ-2/2141 წერილით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ვანის სარეგისტრაციო სამსახურს, რის საფუძველზეც 14.09.2012წ. განხორციელდა რეგისტრაცია. ზემოხსენებული დებულების 6.2 მუხლის „ძ“ ქვეპუნქტის თანახმად, ვანის მუნიციპალიტეტში მოქმედებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახური – ვანის ფილიალი. დებულების 31.1 მუხლის მიხედვით, ფილიალის საქმიანობის მიზანია მის სამოქმედო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების შესრულება. მართალია ფილიალი უშუალოდ არ გამოსცემს უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის შესახებ აქტებს, თუმცა გარკვეული მოცულობით ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, კერძოდ, იღებს განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტაციას, საჭიროების შემთხვევაში ადასტურებს გარიგების მხარეების ხელმოწერებს, უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს კორესპონდენციებს, ასრულებს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ხელმძღვანელების ცალკეულ დავალებებს. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებზე დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. შესაბამისად, სასამართლოთა თანაბარი დატვირთვისა და საქმეთა თანაზომიერი განაწილების პრინციპიდან გამომდინარე გამართლებულია დავის უძრავი ქონების და საჯარო რეესტრის ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით განხილვა. საკასაციო სასამართლო ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული საქმის

განხილვის წესი ვრცელდება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას. სადავო ქონება მდებარეობს ქ. ვანში (... ქ. №28ა). „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.07.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები. აღნიშნული გადაწყვეტილების 35.2 მუხლის თანახმად, სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა სამტრედიის, ვანისა და ხონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ამდენად, უძრავი ნივთი და აღნიშნულ ტერიტორიაზე სააგენტოს უფლებამოსილების განმარტაციული ტერიტორიული ორგანო – ფილიალი მდებარეობს სამტრედიის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, რის გამოც დავა ტერიტორიულად სწორედ მისი ქვემდებარეა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. გ. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სამტრედიის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სადავო ქონების აღვიმდებარების  
მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-716-712(გ-17)

8 თებერვალი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე მ. ნ-ის სარჩელთან დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მცხეთის რაიონულ სასამართლოს შორის.

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ნ-ემ 10.08.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ და მოითხოვა საკუთრების რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 07.06.2017წ. №... გადაწყვეტილების და სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 14.07.2017წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 31.08.2016წ. მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა სახელმწიფო პროექტის ფარგლებში საკუთრების უფლების რეგისტრაცია ქ. მცხეთაში, ... მდებარე მიწის ფართზე, სხვა დოკუმენტებთან ერთად წარდგენილ იქნა საკუთრების სარეგისტრაციო მოწმობა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 23.11.2016წ. №... გადაწყვეტილებით საქმე გადაეგზავნა თბილისის მერიის თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების

ალიარების კომისიას, რომლის 02.12.2016წ. გადანყვეტილებით მოსარჩელეს საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე ეთქვა უარი, ვინაიდან მინის ფართზე არ იყო განთავსებული რაიმე შენობა-ნაგებობა. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 13.12.2016წ. №... გადანყვეტილებით მოსარჩელეს უარი ეთქვა ქ. მცხეთაში ... მდებარე მინის ფართზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე იმავე მიზეზით, რადგან მინაზე არ იყო განთავსებული რაიმე შენობა-ნაგებობა. მოსარჩელემ 02.06.2017წ. კვლავ მიმართა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით, რომელზეც 07.06.2017წ. №... გადანყვეტილებით უარი ეთქვა ახლად გამოვლენილი გარემოებების დამადასტურებელი სარეგისტრაციო დოკუმენტაციის არარსებობის გამო. აღნიშნული გადანყვეტილება გასაჩივრდა მოსარჩელის მიერ ადმინისტრაციული საჩივრით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. ადმინისტრაციულ საჩივარში მოსარჩელე მოითხოვდა არა საკუთრების ალიარებას, არამედ საკუთრების უფლების რეგისტრაციას, ვინაიდან საკუთრების უფლება დადგენილი იყო იმ დროისათვის. სააგენტოს 14.07.2017წ. №... გადანყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 11.08.2017წ. განჩინებით მ. ნ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს. საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მიუხედავად ალტერნატიული განსჯადობისა, კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადანყვეტაზე და მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული. ვინაიდან სადავო უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა მდებარეობს ქ. მცხეთის ტერიტორიაზე, დავა უნდა გადანყვეტიტოს განსჯადმა სასამართლომ ნივთის მდებარეობის მიხედვით. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლზე, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, სსკ-ის მე-18, 284-ე, 285-ე 414-ე მუხლებზე და მ. ნ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 21.08.2017წ. განჩინებით მ. ნ-ის სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბა-

თილად ცნობის მოთხოვნით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლზე, სასკ-ის 1.2 მუხლზე, სასკ-ის 26.1 მუხლზე, 26.3 მუხლზე, სსკ-ის მე-15 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების კანონიერება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. იქედან გამომდინარე, რომ მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და თბილისის სარეგისტრაციო სამსახურის ადგილსამყოფელია ქ.თბილისი, მოცემულ საქმეზე ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 31-ე მუხლის თანახმად ფილიალის ძირითადი ფუნქციებიდან ერთ-ერთია „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-8.1 მუხლით გათვალისწინებული სარეგისტრაციო წარმოების დანყების საფუძვლის – განცხადებებისა და თანდართული დოკუმენტაციის მიღება და სააგენტოს მიერ მომზადებული დოკუმენტების გაცემა მის სამოქმედო ტერიტორიაზე. ასევე ფილიალის უფლებამოსილებაა შესაბამის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფა. შესაბამისად, განსჯადობის შესახებ დავებზე საკასაციო სასამართლოს მიერ ამ დრომდე მიღებული განჩინებებით დადგენილი პრაქტიკის შეუცვლელად მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ აღძრულ სარჩელებზე გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის მე-15 მუხლთან ერთად, ამავე კოდექსის მე-16.1 და მე-16.3 და მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესები, აღნიშნული ნორმების თანახმად: სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამასთან, სარჩელი, რომელიც გამომდინარეობს იურიდიული პირის ფილიალის საქმიანობიდან, სასამართლოს წარედგინება მხოლოდ ფილიალის ადგილმდებარეობის

მიხედვით. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტის 26.12.2006წ. „ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ დადგენილების საფუძველზე მცხეთის რაიონის ... თემის საკრებულო- ... და ... დასახლება გადაეცა ქალაქ თბილისს, შესაბამისად სადავო მინის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისის საზღვრებში, მოცემული სარჩელი, სადავო უძრავი ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვითაც, განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე მცხეთის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების



სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 07.06.2017წ. №..., 14.07.2017წ. №... გადაწყვეტილებებს და მოითხოვს საკუთრების რეგისტრაციის შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, ამდენად, დგინდება, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობით მოსარჩელეს სურს მიეცეს თავის სახელზე მიწის ნაკვეთის საჯარო რეესტრში აღრიცხვის შესაძლებლობა. სარჩელის მიზანს შეადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ მიწის ნაკვეთის მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემა. მოსარჩელეს სურს ხელსაყრელი მდგომარეობის მიღწევა აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებით (მიკუთვნებითი სარჩელი (სსსკ-ის 23-ე მუხლი)). მიწის ნაკვეთზე საკუთრების რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანო – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ, ტერიტორიული სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხ.), სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებია რეგიონული ოფისი და ფილიალი (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 6.2 მუხ.), რომლებიც თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ნორმატიულად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, ასრულებენ სააგენტოს ფუნქციებს (დებულების 30.1, 31.1 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებად დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. ამდენად, წარდგენილ განაცხადზე სარეგისტრაციო წარმოების

ჩატარებას და შემდგომში აქტის გამოცემას ახდენს არა უშუალოდ სააგენტო, არამედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, სწორედ ტერიტორიულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევა, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება, მეზობელთა გამოკითხვა და სხვ.. ამდენად, ზოგადი წესის თანახმად, დავის განსჯადობის საკითხი არ წყდება სააგენტოს ადგილმდებარეობის მიხედვით, თუმცა განსახილველ შემთხვევაში სადავო აქტის გამომცემ ორგანოს წარმოადგენს ქ. თბილისში მდებარე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც თავისი ფუნქციების განსახორციელებლად ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არ მოქმედებს ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით, სააგენტო ქ. თბილისის ტერიტორიაზე თავად ახორციელებს თავის ფუნქციებს, რეგიონული ოფისების და ფილიალების ჩარევის გარეშე, აღნიშნულს ადასტურებს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 6.2 მუხლი, რომელიც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურებს შორის არ ასახელებს ქ. თბილისში სააგენტოს უფლებამოსილებების განმარტაციულ ბელ სპეციალურ ტერიტორიულ ორგანოს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამ პრინციპიდან განდგომა გამოწვევის წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე, დაშვებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტ-

ტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება ნივთობრივი განსჯადობის წესები, სსკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, მოცემულ შემთხვევაში, განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. „თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილების 30.2 მუხლის მიხედვით, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით, 20.2 მუხლის თანახმად თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრებით. „ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 26.12.2006წ. №4173 დადგენილების საფუძველზე მცხეთის რაიონის ... თემის საკრებულო – ... და ... დასახლება გადაეცა ქალაქ თბილისს, განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ სადავო უძრავი ნივთი მდებარეობს ქ.თბილისში. მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი აქტის გამოცემ ორგანოს წარმოადგენს არა სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, არამედ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, რომლის გადაწყვეტილებაზე (№...(07.06.2017წ.)) შეტანილი საჩივარი სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ განიხილა (№...(14.07.14წ.)). ამდენად, სადავო აქტების გამოცემი ორგანოა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში და ამ ტერიტორიაზე თავად ახორციელებს თავის უფლებამოსილებებს რეგიონული ოფისების და ფილიალების დახმარების გარეშე. ამდენად, როგორც უძრავი

ნივთის ასევე მოპასუხის ადგილმდებარეობა მოცულია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიით, რის გამოც დავა ტერიტორიულად სწორედ მისი ქვემდებარეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. ნ-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ნ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 4. ტერიტორიული განსჯადობის სპეციალური ნაწი

### განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის აღბილის მიხედვით

#### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-499-496(გ-17)

20 ივლისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2016 წლის 16 დეკემბერს შპს „...“ საჩივრით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, მონინაალმდეგე მხარის – სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

საჩივრის ავტორმა 2016 წლის 17 აგვისტოს №..., 2016 წლის 14 ნოემბრის №... და 2016 წლის 12 ოქტომბრის №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 3 იანვრის განჩინებით შპს „...“ საჩივარი მიჩნეულ იქნა სარჩელად და მიენიჭა შესაბამისი საალრიცხვო სტატისტიკური ნომერი.

ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 6 იანვრის განჩინებით შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სა-

სამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. მითითებული კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხეს წარმოადგენს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო, რომლის მისამართია – ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ამდენად, მოპასუხის ადგილსამყოფელი განთავსებულია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ წინამდებარე სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შემდეგ აცნობებს მოსარჩელეს.

2017 წლის 10 მარტს შპს „...“ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე. კერძოდ, მოსარჩელემ 2016 წლის 17 აგვისტოს №... ოქმის, 2016 წლის 14 ნოემბრის №... ოქმისა და 2016 წლის 12 ოქტომბრის №... ოქმის საფუძველზე დაწყებული აღსრულები: სააღსრულებო საქმე ...-ის, სააღსრულებო საქმე ...-ის, სააღსრულებო საქმე ...-ის შეჩერება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 13 მარტის განჩინებით შპს „...“ განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა; მოცემულ საქმეზე სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე შეჩერდა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის 2016 წლის 17 აგვისტოს №... ოქმის, 2016 წლის 14 ნოემბრის №... ოქმის, 2016 წლის 12 ოქტომბრის №... ოქმის საფუძველზე დაწყებული აღ-

სრულება, სააღსრულებო საქმე ..., სააღსრულებო საქმე ..., სააღსრულებო საქმე ....

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატის სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში 2017 წლის 6 იანვრის განჩინებას და 2017 წლის 10 მაისის განჩინებით შპს „...“ სარჩელი, მოპასუხე – საჯარო სამართლის იურიდიული პირის სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ, საჯარო სამართლის იურიდიული პირის სურსათის ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 17 აგვისტოს №..., 2016 წლის 14 ნოემბრის №... და 2016 წლის 12 ოქტომბრის №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობის თაობაზე, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილმა პირმა ქობულეთში, 2016 წლის 17 აგვისტოს შეადგინა №... საჯარიმო ქვითარი/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, 2016 წლის 14 ნოემბერს – №... საჯარიმო ქვითარი/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და 2016 წლის 12 ოქტომბერს – №... საჯარიმო ქვითარი/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, შპს „...“ მიმართ, „სურსათის/ცხოველის კვების უზენაესობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ საქართველოს კანონის 68.1 და 68.2 მუხლების მოთხოვნათა დარღვევის გამო და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 400 (ოთხასი), 400 (ოთხასი) და 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით. ოქმებს თან ერთვის შესაბამისობის შეფასების აქტები №02-33/გ, №02-313/ა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრატის მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 5.1 მუხლზე, რომლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინსტანციით განიხილავს სასამართლოსადმი უწყებრივად დაქვემდებარებულ ადმინისტრაციულ საქმეებს, გარდა ამ კოდექსის მე-6 მუხლით გათვალისწინებული საქმეებისა. ამავე ნორმის მეორე ნაწილის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლო პირველი ინ-

სტანციით განიხილავს ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს იმ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, სადაც არ მოქმედებს მაგისტრატი მოსამართლე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ და „ბ1“ პუნქტების თანახმად, მაგისტრატი მოსამართლეები პირველი ინსტანციით განიხილავენ შემდეგ საქმეებს: ბ) საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით; ბ1) სასამართლოში წარდგენილი შესაბამისი ოქმის საფუძველზე, სასამართლოს მიერ განსახილველი ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

სასამართლომ მიუთითა „სურსათის/ცხოველის კვების უზენებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ საქართველოს კანონის 1.1 მუხლზე, რომლის თანახმად, ამ კოდექსის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, აგრეთვე სურსათის/ცხოველის საკვების უზენებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ამავე ნორმის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით ეს კოდექსი არეგულირებს და განსაზღვრავს ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისთვის შესაბამის პასუხისმგებლობას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მითითებული კოდექსის 63.1 მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად, პირის პასუხისმგებლობა სურსათის/ცხოველის კვების უზენებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროში არსებული მოთხოვნები დარღვევისთვის განისაზღვრება ამ თავითა და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, ამავე კოდექსით დადგენილი მოთხოვნის დარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვასა და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების უფლება აქვს სააგენტოს უფლებამოსილ პირს. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსით დადგენილი მოთ-



ხოვნის დარღვევაზე სამართალდამრღვევს სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავე დროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეხახებ ოქმი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ პუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე, განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამოორიცხა ამ კატეგორიის საქმეთა სხვა სამართალწარმოების წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე, 272-ე და 273-ე მუხლებით. ამავე საკანონმდებლო აქტის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე განხილვისას მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>9</sup>-159<sup>9</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში გასაჩივრებული საჯარიმო ქვითარი შედგენილია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ უფლებამოსილი პირის, ამავე სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს მიერ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქობულეთი, ამასთანავე, სადავო საჯარიმო ქვითარი, სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია (გამოცემულია) სა-

მართალდარღვევის ჩადენის ადგილას – ქობულეთში. ამრიგად, „სურსათის/ცხოველის კვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის“ ნ3-ე მუხლის იმპერატიული დანაწესის შესაბამისად, მითითებული კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, სარჩელი გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობის თაობაზე, განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, მიუხედავად იმისა მოპასუხედ დასახელებული იქნება ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველო), თუ მისთვის ამ უფლებამოსილების მიმნიჭებელი ადმინისტრაციული ორგანო (სურსათის ეროვნული სააგენტო).

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 12 იანვრის №ბს-709-702(გ-16) განჩინებაზე, სადაც სასამართლომ განმარტა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით, კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ტერიტორიული განსჯადობის სპეციალურ წესს ითვალისწინებს – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს განსჯადია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის

თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიულ განსჯადობის საკითხს. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებშიც არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორ-

განო.

განსახილველ შემთხვევაში, შპს „...“ სარჩელი აღძრა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ ქობულეთში შედგენილი 2016 წლის 17 აგვისტოს №..., 2016 წლის 14 ნოემბრის №... და 2016 წლის 12 ოქტომბრის №... საჯარიმო ქვითრების/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების ბათილად ცნობის მოთხოვნით. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილი პირების მიერ მოსარჩელე დაჯარიმდა 400 (ოთხასი), 400 (ოთხასი) და 1200 (ათას ორასი) ლარის ოდენობით სურსათის/ცხოველის კვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 68.1 და 68.2 მუხლების მოთხოვნათა დარღვევის გამო.

სურსათის უვნებლობის დაცვის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ხდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით (1.1 მუხ.), რომლის 63.1 მუხლის მიხედვით, პირის პასუხისმგებლობა სურსათის უვნებლობის დაცვის სფეროში არსებული მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. განსახილველ შემთხვევაში სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსი არ ადგენს განსაზღვრების სპეციალურ წესს კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან მიმართებით. ამდენად, გამოყენებულ უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები, რომელთა თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას კანონმდებლობით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლში ჩამოთვლილი გამონაკლისის არსებობა არ დასტურდება, ამასთანავე, საქმის მასალებით უდავოდ დგინდება, რომ შესაძლო სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა ქობულეთში, შესაბამისად, დავა ტერიტორიულად ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატი სასამართლოს ქვემდებარეა.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სპეციალურ მონესრი-

გებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ტერიტორიული განსჯადობის სპეციალურ წესს ითვალისწინებს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით.

სასამართლოებს შორის განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს უწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დივერსიფიკაციას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარ განაწილებას.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე და 399-ე მუხლებით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოს ქობულეთის მუნიციპალიტეტში;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა ადმინისტრაციული  
სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-551-548(გ-17)

14 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2016 წლის 29 მარტს შპს „...“ წარმომადგენელმა – ნ. ჯ-მა საჩივრით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ.

საჩივრის ავტორმა სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორის 2016 წლის 21 მარტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (საჯარიმო ქვეთარი) №... ოქმის ბათილად ცნობა მოითხოვა.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 აპრილის განჩინებით სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შუამდგომლობა დაკმაყოფილდა და შპს „...“ საჩივარი მიჩნეულ იქნა სარჩელად.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 20 მაისის განჩინებით შპს „...“ სარჩელი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორის 2016 წლის 21 მარტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (საჯარიმო ქვეთარი) №... ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე, განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სა-  
მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწი-  
ლის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუ-  
ხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული  
პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის

ადგილსამყოფლის მიხედვით. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მისამართია ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზ. №6. ამდენად, რაიონული სასამართლოს განმარტებით, მოპასუხის ადგილსამყოფელი მდებარეობს ტერიტორიაზე, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდება და შესაბამისად, საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2016 წლის 23 ივნისის განცხადებით შპს „...“ გაზარდა სასარჩელო მოთხოვნა და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორის 2016 წლის 21 მარტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (საჯარიმო ქვითარი) №... ოქმისა და 2016 წლის 24 მაისის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს №... შესაბამისობის შეფასების აქტის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 1 ივნისის განჩინებით შპს „...“ სარჩელი, მოპასუხე – სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ზემოაღნიშნული მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს უფლებამოსილმა პირმა ხაშურში, 2016 წლის 21 მარტს შეადგინა №... საჯარიმო ქვითარი/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, შპს „...“ მიმართ, სურსათის/ცხოველის საკვების

უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65.1 მუხლის დარღვევის გამო და სახდელის სახით განესაზღვრა ჯარიმა 1000 ლარის ოდენობით.

სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 1.1 მუხლის თანახმად, კოდექსის მიზანია ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, მომხმარებელთა ინტერესების, ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, მცენარეთა სიჯანსაღის დაცვა, აგრეთვე სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება. ამავე ნორმის მე-4 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით, ეს კოდექსი არეგულირებს და განსაზღვრავს ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამის პასუხისმგებლობას.

სასამართლომ განმარტა, რომ სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 63.1 მუხლის იმპერატიული დანაწესის თანახმად, პირის პასუხისმგებლობა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება ამ თავითა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. ამავე ნორმის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნის დარღვევაზე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვისა და ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების უფლება აქვს სააგენტოს უფლებამოსილ პირს; ხოლო მე-3 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსით დადგენილი მოთხოვნის დარღვევაზე სამართალდამრღვევს სააგენტოს უფლებამოსილი პირი გამოუწერს საჯარიმო ქვითარს, რომელიც იმავდროულად არის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი; ამასთან, მე-4 ნაწილით ამ კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო ქვითარის ფორმას, მისი შევსებისა და წარდგენის წესს ამტკიცებს საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრი.

ამავე კოდექსის 65.1 მუხლის თანახმად, ამ კოდექსის მე-18<sup>1</sup> მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ბიზნესოპერატორის მიერ სურსათის/ცხოველის საკვების ბაზარზე განთავსება ან ბაზარზე უკვე განთავსებული ან მომხმარებლისთვის მიწოდებული მავნე სურსათის/ცხოველის



საკვების ბაზრიდან გამოთხოვასთან დაკავშირებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს ბიზნესოპერატორის დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში 2012 წლის 26 აპრილს განხორციელებული ცვლილებების შედეგად აღნიშნული კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით იმპერატიულად განისაზღვრა, რომ საქმეები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების თაობაზე განიხილება საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით, რამაც გამოიწვია ამ კატეგორიის საქმეთა სხვა წესით განხილვა, ხოლო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე მიღებული დადგენილების (საჯარიმო ქვითარი-სამართალდარღვევის ოქმი) გასაჩივრების წესი და ვადა დადგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე, 272-ე და 273-ე მუხლებით. ამავე საკანონმდებლო აქტის 272-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეზე ორგანოს (თანამდებობის პირის) დადგენილება, აგრეთვე ამ კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლით განსაზღვრული წესით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ადგილზე მიღებული გადაწყვეტილება ჯარიმის სახით ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს რაიონის (ქალაქის) სასამართლოში. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261.1 მუხლის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა იმ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებული საჯარიმო ქვითარი, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი შედგენილია უფლებამოსილი პირის – სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ უფლებამოსილი პირის, ამავე სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს მიერ. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ხაშური, ამასთანავე, სადავო საჯარიმო ქვითარი, სამართალდარ-

ღვევის ოქმი შედგენილია (გამოცემულია) სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას – ხაშურში. ამრიგად, სასამართლოს მოსაზრებით, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 63.1 მუხლის იმპერატიული დანაწესის, მითითებული კოდექსისა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესის შესაბამისად, სარჩელი გასაჩივრებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის, საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობის თაობაზე, განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, მიუხედავად იმისა მოპასუხე მხარედ დასახელებული იქნება ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო (სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველო), თუ მისთვის ამ უფლებამოსილების მიმნიჭებელი ადმინისტრაციული ორგანო (სურსათის ეროვნული სააგენტო).

შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დავა ხაშურის რაიონული სასამართლოს განსახილველი დავაა, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ხაშურის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესა-

ხებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორის 2016 წლის 21 მარტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევის (საჯარიმო ქვეთარი) №... ოქმისა და 2016 წლის 24 მაისის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს №... შესაბამისობის შეფასების აქტის ბათილად ცნობა. შპს „...“ სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს ინსპექტორის მიერ დაჯარიმდა 1000 ლარით, სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის 65.1 შესაბამისად, ბაზარში მავნე სურსათის განთავსების გამო.

სურსათის უვნებლობის დაცვის სფეროში სახელმწიფო რეგულირების ერთიანი პრინციპების განსაზღვრა და სახელმწიფო კონტროლის ეფექტიანი სისტემის ჩამოყალიბება ხდება სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით (1.1 მუხ.). ამ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევისათვის შესაბამისი პასუხისმგებლობის წესი და პირობები რეგლამენტირებულია ამავე კოდექსის XV თავში, რომლის 63.1 მუხლის შესაბამისად, პირის პასუხისმგებლობა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში არსებული მოთხოვნების დარღვევისათვის განისაზღვრება ამ თავითა და საქართველოს

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით. აღნიშნული კოდექსი იმპერატიულად არ ადგენს განსჯადობის სპეციალურ წესს ამ კოდექსით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებთან მიმართებით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით. შესაბამისად, კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით განსაზღვრული რეგულაციები, კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ა</sup>-159<sup>ბ</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს სპეციალურ მოწესრიგებას, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი სამართალდარღვევის საქმეებთან დაკავშირებით ტერიტორიული განსჯადობის სპეციალურ წესს ითვალისწინებს: ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, კანონმდებლობით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა (261-ე მუხ.). დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლში ჩამოთვლილი გამონაკლისის არსებობა არ დასტურდება, ამასთანავე, საქმის მასალებით უდავოდ დგინდება, რომ შესაძლო სამართალდარღვევა ჩადენილ იქნა ქ. ხაშურში, შესაბამისად, დავა ტერიტორიულად ხაშურის რაიონული სასამართლოს ქვემდებარეა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო

ეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მსჯელობას, რომ შპს „...“ სარჩელი ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ სარჩელი სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ხაშურის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა ადმინისტრაციული  
სამართალდარღვევის ჩადენის აღბილის მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-661-657(გ-17)

17 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ჯ. ჩ-მა 2017 წლის 23 მაისს საჩივრით მიმართა თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოწინააღმდეგე მხარე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ. საჩივრის ავტორმა მოპასუხის 2017 წლის 26 აპრილის №ელ ... საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 19 ივნისის დადგენილებით ჯ. ჩ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია მცხეთა-მთიანეთის საავტომობილო გზა, ხოლო საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილი არის – მთიანეთის რაიონი სოფელი ... ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის არც პირველი ნაწილისა და არც მე-2 ნაწილის შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლო არ წარმოადგენს ჯ. ჩ-ის საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 7 ივლისის დადგენილებით საქმე №... ჯ. ჩ-ის საჩივრისა გამო, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, შსს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის 2017 წლის 26 აპრილის №ელ ... საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობის თაობაზე, სასამართლოს განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოთა ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიულ განსჯადობაზე.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმება და არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა. ამასთან, საქმის წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისათვის დადგენილი სამართალწარმოების პრინციპის დაცვით, რის გამოც მოცემულ დავაზე არ უნდა გავრცელდეს ადმინისტრაციულ სა-

მართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი. შესაბამისად, საჩივრის განხილვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე იმ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი ადმინისტრაციულ ორგანოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია

დადგენილი.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია 2017 წლის 26 აპრილის №ელ ... საჯარიმო ქვითრის ბათილად ცნობა. დადგენილია, რომ სადავო სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მცხეთა-მთიანეთის საავტომობილო გზაზე, თიანეთის რაიონის, სოფელ ... მცხოვრები ჯ. ჩ-ის მიმართ.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, რომელიც განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით და მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ბ</sup>-159<sup>გ</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 121-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 121-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 121-ე მუხლი. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ჯ. ჩ-ს არ გააჩნია სასამართლოს არჩევის შესაძლებლობა, რამდენადაც სამართალდარღვევის ადგილია მცხეთა-მთიანეთის საავტომობილო გზა, ხოლო საჩივრის ავტორის საცხოვრებელი მი-



სამართია – თიანეთის რაიონი სოფელი ... .

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „რაიონული (საქა-  
ლაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების  
შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა  
რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიცი-  
ის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გა-  
დანყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამარ-  
თლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლო-  
ების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა  
და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რა-  
ოდენობა. ამავე გადანყვეტილების 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის  
თანახმად, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტე-  
რიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის,  
ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალი-  
ტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. შესაბამისად, ჯ. ჩ-  
ის საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ ერთადერთ სასამარ-  
თლოს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილისა და დამრღვე-  
ვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვითაც წარმოადგენს მცხე-  
თის რაიონული სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო  
მიიჩნევს, რომ ჯ. ჩ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად  
უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს  
ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-  
2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქა-  
ლაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ჯ. ჩ-ის საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინის-  
ტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯა-  
დობით განსახილველად დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ  
სასამართლოს;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ სა-  
ჩივრდება.

## 5. ალტერნატიული განსჯადობა

### განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-614-611(გ-17)

14 სექტემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

2017 წლის 17 მაისს ზ. ა-ემ საჩივრით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ.

საჩივრის ავტორმა მის მიმართ შედგენილი №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა (საჯარიმო ქვიტარი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 19 აპრილის №... დადგენილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 6 მაისის განჩინებით ზ. ა-ის საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა და დადგენილების გაუქმების შესახებ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში გასაჩივრებელია 2017 წლის 16 მარტის №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (საჯარიმო ქვიტარი), რომლითაც ირკვევა, რომ ზ. ა-ე დაჯარიმდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევი-

სათვის. აღნიშნული ოქმიდან ირკვევა, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ქარელის მონაკვეთი.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილი ცალსახად ადგენს, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-ე-159<sup>9</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომელსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, ამ კონკრეტულ შემთხვევაში ზ. ა-ის მიერ გასაჩივრებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე, ადგილზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. საქალაქო სასამართლოს მითითებით, მართალია, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის თავში კონკრეტულად არ არის მითითებული, რომ საჩივარი განიხილება ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, თუმცა ამ შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს 261-ე მუხლში მითითებული სპეციალური დათქმა (სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილის მიხედვით) და სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე მუხლის საფუძველზე, საჩივარი უნდა განიხილოს სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ.

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 16 ივნისის დადგენილებით ზ. ა-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად გააეგზავნა ქარელის მაგისტრატ სასამართლოს.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საც-

ხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ზ. ა-ის მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი (ელექტრონული საჯარიმო ქვითარი) 125-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, შედგენილ იქნა ქარელში (თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ქარელის მონაკვეთზე) განხორციელებულ ქმედებასთან დაკავშირებით.

განსახილველ შემთხვევაში სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენდა ქარელი, ამდენად, სასამართლოს განმარტებით, ზ. ა-ის საჩივრის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს ქარელის მაგისტრატი სასამართლო წარმოადგენდა.

ქარელის მაგისტრატი სასამართლოს 2017 წლის 21 ივნისის დადგენილებით მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ა</sup>-159<sup>ბ</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს, აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილით. სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილია ქ. ბათუმი, ... ქ. №72. ამდენად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯად სასამართლოებს წარმოადგენდა ქარელის მაგისტრი და ბათუმის საქალაქო სასამართლო.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად,

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. იმავე კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპი. ეს კოდექსი არეგულირებს ერთი და იმავე საქმის რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის წესს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

სასამართლოს მითითებით, საჩივრის ავტორმა – ზ. ა-ემ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. მომჩივნის მიერ აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა ბათუმის საქალაქო სასამართლო. შესაბამისად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ქარელის მაგისტრატ სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაზავნა არ შეესაბამებოდა ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, გორის რაიონული სასამართლოსა და ქარელის მაგისტრატი სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად, თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა (საჯარიმო ქვითარი) და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 19 აპრილის №... დადგენილების ბათილად ცნობა. დადგენილია, რომ აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ქარელის მონაკვეთზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ1“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ბ</sup>-159<sup>გ</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 125-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 125-ე მუხლი. საჯარიმო ქვითარი შედგენილია თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის ქარელის მონაკვეთზე, ხოლო ზ. ა-ის საცხოვრებელი ადგილია ქ. ბათუმი, ... ქ. №72 და მან საჩივრით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს. შესაბამისად, ზ. ა-ე უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართა სასამართლოსათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქარელის მაგისტრატი სასამართლოს მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – ზ. ა-ემ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შე-საბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქ. ბათუ-მის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-გიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. ზ. ა-ის საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



## განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-522-519(გ-17)

17 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

ე. გ-ემ 2017 წლის 20 აპრილს საჩივრით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საჩივრის ავტორმა 2017 წლის 8 მარტის №... საჯარიმო ქვითრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 10 აპრილის №... დადგენილების გაუქმება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 29 მაისის განჩინებით ე. გ-ის საჩივარი, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმისა (საჯარიმო ქვითარი) და დადგენილების გაუქმების შესახებ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა, ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში გასაჩივრებულია 2017 წლის 8 მარტს შედგენილი №... ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი (საჯარიმო ქვითარი), რომლითაც ირკვევა, რომ ე. გ-ე დაჯარიმებული იქნა საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის.

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმით ირკვევა, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილს წარმოადგენს,

თბილისი-სეკაკი-ლესელიძის საავტომობილო გზის, ხაშურის მონაკვეთი.

სასამართლომ მიუთითა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ე. გ-ის მიერ გასაჩივრებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 234<sup>1</sup>-ე მუხლის საფუძველზე, ადგილზე შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელზეც გამოყენებულ უნდა იქნეს სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლში მითითებული სპეციალური დათქმა (სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილის მიხედვით) და სამართალდარღვევათა კოდექსის 276-ე მუხლის საფუძველზე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით ე. გ-ის საჩივარი განხილულ უნდა იქნეს სწორედ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, განსჯადი სასამართლოს – ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 5 ივნისის განჩინებით ე. გ-ის საჩივარი, საქმესთან ერთად, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად, გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

ხაშურის რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ე. გ-ის საცხოვრებელი ადგილი, როგორც საქმეში არსებულ მასალებშია აღნიშნული, არის ქალაქი ბათუმი, ... №9, ბინა №23. საჩივრის ავტორმა არ მიმართა სასამართლოს დარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით, ამდენად, რაიონული სასამართლოს განმარტებით, ასეთ შემთხვევაში, საქმე განხილული უნდა იქნეს სასამართლოში, მისი საც-

ხოვრებელი ადგილის მიხედვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს, შესაბამისად,

თუ სარჩელში დასახელებულია სხვადასხვა სასამართლოს საქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივაა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია 2017 წლის 8 მარტის №... საჯარიმო ქვითრისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლისა და სამცხე-ჯავახეთის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 10 აპრილის №... დადგენილების ბათილად ცნობა. დადგენილია, რომ აღნიშნული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-9 ნაწილის შესაბამისად, ქ. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>5</sup>-159<sup>9</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 125-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალ-

დარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 125-ე მუხლი. შესაბამისად, ე. გ-ე უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართა სასამართლოსათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. 2017 წლის 20 აპრილს ე. გ-ემ საჩივრით სწორედ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიმართა და მისი საცხოვრებელი მისამართია – ქ. ბათუმი, ... №9, ბინა №23.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ე. გ-ის საჩივარი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ე. გ-ის საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

### განჩინება საქართველოს სასჯელით

№ბს-552-549(გ-17)

17 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ვ. ჯ-ემ 2017 წლის 28 აპრილს საჩივრით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს. საჩივრის ავტორმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 28 მარტის №... საჯარიმო ქვეთრის ბათილად ცნობა მოითხოვა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 1 მაისის განჩინებით ვ. ჯ-ის საჩივარი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის ქვემო ქართლის მთავარი სამმართველოს 2017 წლის 28 მარტის №... საჯარიმო ქვეთრის ბათილად ცნობის მოთხოვნით განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველ ნაწილზე მითითებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორის – ვ. ჯ-ის საცხოვრებელი ადგილია გორის რაიონი სოფელი ... , რის გამოც საჩივრის განხილვაზე განსჯად სასამართლოს წარმოადგენს გორის რაიონული სასამართლო.

გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 15 მაისის განჩინებით საქმე №... ვ. ჯ-ის საჩივრის გამო, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად, გადმოიგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

გორის რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარ-

ღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ბ</sup>-159<sup>გ</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განიხილულ იქნეს, აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

მოცემულ შემთხვევაში, ვ. ჯ-ის მიმართ 2017 წლის 28 მარტს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით გათვალისწინებული გადაცდომის ჩადენის ფაქტზე. ამასთან, სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია – ქ. რუსთავი, ხოლო დამრღვევის – ვ. ჯ-ის საცხოვრებელი ადგილია – გორის რაიონი, სოფელი ... შესაბამისად, სახეზეა ალტერნატიული განსჯადობა, სამართალდარღვევის ადგილის მიხედვით ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საჩივრის ავტორმა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მე-საბამისად, განსახილველ შემთხვევაში თავისი უფლებების დასაცავად აირჩია რუსთავის საქალაქო სასამართლო, რის გამოც რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ გორის რაიონული სასამართლოსათვის საქმის განსჯადობით გადაგზავნა მოკლებულია სამართლებრივ საფუძველს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა რუსთავის საქალაქო სასამართლოსა და გორის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახ-

მად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად.

მოცემულ შემთხვევაში, სპეციალური კანონი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობას. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ბ</sup>-ე–159<sup>გ</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო, ხოლო მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე–125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქმის მასალებით ირკვევა, რომ ვ. ჯ-ეს ადმინისტრაციული სახდელი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილის საფუძველზე აქვს დაკისრებული. საქმის მასალებით ასევე დასტურდება, რომ სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია – ქალაქი რუსთავი, ხოლო საჩივრის ავტორის საცხოვრებელი ადგილია – გორის რაიონის, სოფელი ....

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები ადგენს საჩივრის ალტერნატიულ განსჯადობას – სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის ან სამართალდამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევს უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამარ-



თლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოცემულ შემთხვევაში, საჩივრის ავტორმა აირჩია განსჯადი სასამართლო და საჩივარი წარადგინა სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით. საკასაციო სასამართლო ეთანხმება გორის რაიონულ სასამართლოს, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, განსჯადობის საკითხი უნდა გადაწყდეს საჩივრის ავტორის არჩევანის შესაბამისად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ვ. ჯ-ის საჩივარი რუსთავეის საქალაქო სასამართლოს განსჯადია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ვ. ჯ-ის საჩივარი განსჯადობით დაექვემდებაროს რუსთავეის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 6. საქმის განაცხადის თაობაზე განცხადების განსჯადობა

### გადანყვეტილების გათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობა

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბ-1153-7(ა-17)

30 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა ო. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 05.11.2015წ. განჩინების გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების შესახებ.

#### აღწერილობითი ნაწილი:

ა. მ-ემ 11.08.2014წ. სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 14.07.2014წ. №... ბრძანების ბათილად ცნობის, ა. მ-ის თანამდებობაზე აღდგენის და ა. მ-ის სასარგებლოდ მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით.

ო. ლ-ემ 13.08.2014წ. სარჩელით მიმართა ხაშურის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის 14.07.2014წ. №... ბრძანების ბათილად ცნობის, ო. ლ-ის თანამდებობაზე აღდგენისა და ო. ლ-ის სასარგებლოდ მოპასუხისათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დაკისრების მოთხოვნით.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 03.09.2014წ. განჩინებით ა. მ-ის და ო. ლ-ის სარჩელი ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიმართ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობის,

სამსახურში აღდგენის და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, გაერთიანდა ერთ წარმოებად.

დავის ხაშურის რაიონული სასამართლოში განხილვისას საქმეში მესამე პირებად ჩაებნენ გ. ც-ე და კ. ფ-ე.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 30.09.2014წ. გადაწყვეტილებით ა. მ-ის და ო. ლ-ის სარჩელები არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გასაჩივრდა ა. მ-ის და ო. ლ-ის მიერ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 25.12.2014წ. განჩინებით ა. მ-ის და ო. ლ-ის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა ა. მ-ის და ო. ლ-ის მიერ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება. კასატორებმა ასევე მოითხოვეს საქმის წარმოების შეჩერება საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ო. ლ-ის საკონსტიტუციო სარჩელზე გადაწყვეტილების გამოტანამდე.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.11.2015წ. განჩინებით კასატორთა შუამდგომლობა საქმის წარმოების შეჩერების თაობაზე არ დაკმაყოფილდა იმ საფუძველით, რომ მხარის მიერ ნორმის კონსტიტუციურობის საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოსადმი მიმართვა არ წარმოადგენს საქმის წარმოების შეჩერების საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საფუძველს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.11.2015წ. განჩინებით ა. ლ-ის და ო. მ-ის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დაუშვებლად.

25.10.2017წ. საკასაციო პალატას განცხადებით მომართა ო. ლ-ემ და მოითხოვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.11.2015წ. განჩინების გაუქმება და საკასაციო საჩივრის დასაშვებობის ხელახლა შემოწმება იმ საფუძველით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს 17.10.2017წ. გადაწყვეტილებით არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 60.1 და 60.4 მუხლის ის ნორმატიული შინაარსი, რომელიც ითვალისწინებს კოდექსის 59.1 მუხლის გავრცელებას მერიის/გამგეობის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მიმართ, ხოლო საერთო სასამართლოებმა საქმის განხილვისას სწორედ არაკონსტიტუციურად ცნობილი რეგულაციით იხელმძღვანელეს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ო. ლ-ის განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს ხაშურის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. მოცემულ შემთხვევაში, განმცხადებელი ითხოვს საქართველოს უზენაესი სასამართლოს 05.11.2015წ. განჩინების გაუქმებას.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, რადგან უზენაესი სასამართლოს 05.11.2015წ. განჩინებით უცვლელად დარჩა სააკაპელაციო სასამართლოს განჩინება, რომლითაც თავის მხრივ უცვლელად იქნა დატოვებული ხაშურის რაიონული სასამართლოს 30.09.2014წ. გადაწყვეტილება, სასამართლო მიიჩნევს, რომ ო. ლ-ის განცხადება განჩინების გაუქმების შესახებ არა საქართველოს უზენაესი სასამართლოს, არამედ ხაშურის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ო. ლ-ის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს ხაშურის რაიონულ სასამართლოს;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## საკიეპელი

1. **ადმინისტრაციული განსჯადობა**  
სახელმწიფო ქონების პრივატიზებასთან  
დაკავშირებით დავის განსჯადობა ..... 3; 15
2. **სამოქალაქო განსჯადობა**  
კერძო სამართლებრივი ფორმით დადებული  
ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა ..... 23; 31
3. **ტერიტორიული განსჯადობა**  
განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით ..... 40  
განსჯადობა სადავო ქონების  
ადგილმდებარეობის მიხედვით ..... 47; 60; 71; 77; 86; 94; 101
4. **ტერიტორიული განსჯადობის სპეციალური წესი**  
განსჯადობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის  
ჩადენის ადგილის მიხედვით ..... 109; 118; 125
5. **ალტერნატიული განსჯადობა**  
განსჯადობა მოსარჩელის არჩევით ..... 130; 137; 142
6. **საქმის განახლების თაობაზე განცხადების განსჯადობა**  
გადაწყვეტილების ბათილად ცნობისა და ახლად აღმოჩენილ  
გარემოებათა გამო განცხადების განსჯადობა ..... 146

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)